

მ
ე
ბ
ე
რ
ს



მეგობარი

თბილისი

მთავარი რედაქტორი

ირაკლი ციციშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ანდრია აფაქიძე
მაია ასანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ნოდარ ბაზტაძე
ვახტანგ ბერიძე
პარმენ ზაქარაია (მორიგე რედაქტორი)
მარიამ ლორთქიფანიძე
ოთარ ლორთქიფანიძე
ლევან მატარაძე
თამაზ ნათიძე
გივი პაპალაშვილი
ჯულიეტა რუხაძე

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

გარეკანზე - ბურნაშეთი
ფოტო ნ. ვაჩიშვილის

ინგლისური ტექსტი მოამზადა მარინე ყენიამ
დააკაბადონა თეიმურაზ დევიშვილმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, შავთელის ქ. 5/7
ტელ.: 98 87 94
93 36 18

1998
ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
Georgian society for protection of historical and cultural Monuments

კვების მემობარი

№1 (100)

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწესებზე

1998 წელი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა
1998 წელი
6/14 2008
7



გიორგი ჯავახიშვილი
ხელოვნებთმცოდნეობის კანდიდატი

**სტელის შრაბმენტი დავით გარეჯის უღაბნოს
ნათლისმცემლის ეკლესიიდან**

21239

დავით გარეჯის სტელა ამჟამად გამოფენილია თბილისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. მისი ზომებია 1.15 X 0.27 X 0.27 მ. ოთხწახნაგა სვეტის წიბოები ცერადაა ჩამოკვეთილი და შემკულია „გრეხილი“ ლილვებს შორის მოქცეული საპირისპიროდ მიმართული რკალების უწყვეტი მწკრივით. პირზე, სწორკუთხა ჩარჩოში დაბალი რელიეფით გამოხატულია ევსტატე პლაკიდა - მარჯვნივ მიმართული მხედარი, რომელიც ისარს სტეორცნის მის ზემოთ მოთავსებულ, ასევე მარჯვნივ მიმართულ ირემს; ირმის უკან შემობრუნებული თავის რქებს შორის მოქცეულია ქრისტეს ბიუსტი. ჩარჩოს გარეთ ქვემოთ ამოკვეთილია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა; რომელშიც ეინმე მარჯუვოს მიერ ჯერის აღმართვაზეა საუბარი. მარჯვენა წახნაგზე გამოკვეთილია ეპის ტალღოვანი რტო ვეკილით, მტევნებით, ფოთლითა და უღვაშებით. მარჯვენა წახნაგს ამკობს დიაგონალური ბადე; ზურგი სადაა.

სტელა დაზიანებულია - მოტეხილია და აკლია ზედა ნაწილი; კუთხეები და წიბოები ალაგ-ალაგ ჩამოტეხილია, რელიეფი ნაწილობრივ გაკვეთილია.

გარეჯის სტელა განხილულია, როგორც შინაარსის ასევე სტილის თვალსაზრისით [1]. დავამატებდით, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველმხრივ დახვეწილი სტელის ნიმუში - სადა, ტექტონიკური, ზომიერი კვეთით შესრულებული რელიეფი. საკმარისია შევადაროთ ის ჩვენთვის ცნობილ სხვა სტელებს, რომ ნათელი გახდეს რა ზომამდე თავშეკავებულია ოსტატი. აქ ველაფერი გაზომილი არის მის მიერ, იმდენადაც კი, რომ მსხვილი ასოებით შესრულებული ექვსსტრიქონიანი ასომთავრულ წარწერასაც მიკუთვნებული აქვს დეკორატიული ფუნქცია. ეს სტელა დამზადებული უნდა იყოს მოწინავე სახელოსნოში (სურ.1).

სტელის წინა პირზე გადმოკეპული სიუჟეტი კომპოზიციურად ორად არის გაყოფილი: მისი მონაწილე ორი პერსონაჟი მხედარი ევსტატე და ირემი ერთ რეგისტრად არის განაწილებული. ტრადიციული პორიზონტალური კომპოზიცია

საქართველოს
ქართული
მემორბარე




ვერტიკალურ ჩარჩოსთან არის შეწყობილი, ზედა თოგვის სტელის მსგავსად, სადაც დანიული და ლომი ერთიმეორის თავზეა დაყენებული. საინტერესოა, რომ აქ გამოყენებული უძველესი ტრადიციული ფორმებიც - ირმის საერთო მონაწილეობა და მოძრაობა ბრინჯაოს ცნობილ ბალეტებს გვაგონებს.



სურ.1. სტელა დაეთ გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის ეკლესიიდან

რელიეფის სიბრტყის მიუხედავად, თავისუფალი განლაგებითა და მოძრაობის სიციცხლით ამ სვეტის შემკულობა განირჩევა წებელდის რელიეფისაგან, რომელთა შორის ეს სიუჟეტიც მოიაზრება. თუ ჩვენ ამ ორ ძეგლს ერთმანეთს შევადარებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ მათი ოსტატები სარგებლობდნენ სხვადასხვა წყაროებში, ამაზე მეტყველებს ერთის სიახლოვე მონუმენტურ რელიეფებთან, მეორის - ბრინჯაოს





ბალთებთან. ჩვენი აზრით „გარეჯის“ სტელა ბევრად უფრო თავისუფალი შემოქმედების ნაყოფია. ზედა თმოგვის სტელის მსგავსად ის თავისუფალი ვერტიკალური წყობის ძველის მონუმენტური დეკორის შექმნის სპეციფიკურ ამოცანას. ძველის კამერული და მონუმენტური მხარეების ურთიერთდაპირისპირება იმ მწვავე პროცესის გამოშხატველია, რომელიც განსაზღვრავდა ქართული ხელოვნების განვითარებას „კლასიკიდან“ ახალ ფორმებზე გადასვლის ხანაში. ამ პროცესის არსი მონუმენტური ფორმებისა და კამერული ხასიათის დეკორის შერწყმაში იყო, მაგრამ იგივე პირობები, რომელიც სტიმულს აძლევდა ამ პროგრესს, ახალ მოთხოვნებსაც აყენებდა. ძველი ფორმები ველარ პასუხობდა მათ, აუცილებელი გახდა არა მარტო ძველის გადაკეთება, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში შეუფერებელი ფორმის უარყოფა და ახალ მოთხოვნათა შევსება. საჭირო იყო პრინციპულად ახალი შინაარსის მქონე სახეების გამოძენა, ცხადია მოძველებული ფორმები ყოველთვის ერთბაშად და ადვილად არ ისაობოდა და ისინი დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობდნენ არსებობას; ხალხში ღრმად გამჯდარი მათი ფესვები მხოლოდ ნელ-ნელა და თანდათანობით ქრებოდა სწორედ იმ შეუსაბამობის გამო, რომელიც მათ დანიშნულებას, შინაარსსა და ახალი მიმართულებების შესაბამის ფორმათა შორის არსებობდა.

დავით გარეჯის სტელა უდავოდ დამზადებული უნდა იყოს მოწინავე სკოლის სახელოსნოში და მიეკუთვნება ქართული მცირე ფორმის ქანდაკების VI ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისს.



1. გ. ჭუბინაშვილი. Пещерные монастыри Давида Гареджи.
2. ნ. ჭუბინაშვილი. Хандиси, 1972.

ნათელა ჯაბუა
ხელეწიერების დირექტორის კანდიდატი

საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიური მახასიათებლის განმსაზღვრელი შიშველი

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრება არქიტექტურულ ტიპთა სიმრავლით ხასიათდება, რაც მის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს. თითოეულ არქიტექტურულ ტიპს არქიტექტურულ-კონსტრუქციული სპეციფიკის, ძეგლების მხატვრული ღირებულების, გავრცელების ქრონოლოგიური და ტერიტორიული საზღვრების გათვალისწინებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ადგილი აქვს ხუროთმოძღვრების განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. საქართველოს ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიური კვლევა ფაქტობრივი მასალის სიმრავლისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით საკმაოდ რთულია. მით უმეტეს, რომ ყოველი არქიტექტურული ტიპი რამდენიმე ნაირსახეობას ქმნის და ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული ქვეტიპები გამოიყოფა.

საქართველოს ქრისტიანული სატაძრო ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიური კვლევის დროს არსებული მასალის სისტემატიზირებისას უპირველესად აღინიშნება ორი მთავარი თემის არსებობა. ესაა - უგუმბათო და გუმბათიანი არქიტექტურა, რომელთაც შესაბამისი, არქიტექტურული ტიპები წარმოადგენს. უგუმბათო არქიტექტურა აერთიანებს ოთხ ტიპს: დარბაზულ, ორნაგიან კვლესიას, სამნაგიან და სამკვლესიან ბაზილიკებს. ამათგან თითოეულს რიგი ნაირსახეობები ახასიათებს, რომლებიც არსებული არქიტექტურული სტრუქტურის სახეცვლით მიიღება. მაგალითად, დარბაზულ კვლესიებში წნდება პასტოფორიუმები, სტოა, გარშემოსავლელი და სხვ.; ორნაგიან კვლესიებში გვხვდება განსხვავებული ორ და სამ ნაწილიანი არქიტექტურული გადაწყვეტა; სამკვლესიან ბაზილიკებში ცენტრალური სივრცის მნიშვნელობის გაზრდის მიზნით იცვლება არქიტექტურული სტრუქტურის შემადგენელ ნაწილთა თანაფარდობის თავდაპირველი სქემა. გარკვეული ტიპოლოგიური მდგრადობით ხასიათდება სამნაგიანი ბაზილიკა; თუმცა ცალკეულ ძეგლებში აქაც აღინიშნება განსხვავებული გადაწყვეტა.



გუმბათიანი არქიტექტურა, რომელიც საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მთავარ თემას წარმოადგენს, არქიტექტურული ტიპებით ხასიათდება. ძირითადი ტიპებია: ტეტრაკონქი, ტრიკონქი, ჯვრის ტიპი, ჩახაზული ჯვრის ტიპი, მრავალაფსიდოანი ტაძრები, გუმბათიანი დარბაზი, ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპი. ცალკე უნდა გამოიყოს გარდამავალი ხანის ძეგლები, რომლებიც ორიგინალური არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა. რიგ შემთხვევებში ჩამოთვლილ არქიტექტურულ ტიპებში ნათლად განიჩნევა ისეთი ნაირსახეობები, რომელთაც ქვეტიპის მნიშვნელობა შეიძლება მიეკუთვნოს. მაგალითად, ტეტრაკონქებში - მარტივი, კუთხისოთახებიანი ანუ ე.წ. მცხეთის ჯვრის ტიპის და მონუმენტური წრიული გვემარების ქვეტიპები; ტრიკონქებში - მარტივი, სათაყვსიანი და რთული ქვეტიპები; თავისუფალი ჯვრის ტიპში - ნახევრადთავისუფალი ჯვრის ქვეტიპი; მრავალაფსიდოანი ტაძრებში - ხუთ, ექვს და რვა აფსიდოანი ქვეტიპები; გუმბათიანი დარბაზის ტიპში - ორ და სამ ნაწილიანი ქვეტიპები. გარკვეული ტიპოლოგიური მდგრადობა ახასიათებს ცენტრალურ-გუმბათოვან ტიპს. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მასალის დეტალური შესწავლისას ნაირსახეობები თითოეული არქიტექტურული ტიპის განხილვისას კლინდება.

საქართველოს ქრისტიანული სატაძრო ხუროთმოძღვრების მოკლე ტიპოლოგიური დახასიათებაც ნათელყოფს მის მრავალფეროვნებასა და სირთულეს, რასაც უთუოდ რიგი ფაქტორები განაპირობებს. ნაშრომის მიზანს საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ამ ტიპოლოგიური მახასიათებლის განმსაზღვრელი ფაქტორების წარმოჩენა და მათი არსებობის დაფიქსირება წარმოადგენს.

ბუნებრივია იმის აღიარება, რომ საქართველოში არქიტექტურულ ტიპთა სიმრავლეს სხვადასხვა ხასიათის და მნიშვნელობის მიზეზები აპირობებს. შევეცდებით ამ სიმრავლეში გამოვკვეთოთ არსებითი ფაქტორები, რომლებსაც პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ამრიგად, საქართველოს ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიური მრავალფეროვნების და ტიპთა ფორმირების პროცესის განმსაზღვრელად სამი ძირითადი ფაქტორი გვესახება. ესაა: 1. გეოგრაფიული, 2. ქრონოლოგიური, 3. ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის განმსაზღვრელი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.



1. საზოგადოდ, გეოგრაფიული ფაქტორი არსებითად განსაზღვრავს ადამიანთა ცოცხის თავისებურებას და თვით ცივილიზაციათა ჩასახვა-განვითარებას [1]. ის მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გრძობად-ფსიქურ, ასევე ქმედება-მოღვაწეობის თავისებურებებს და გარკვეულად ზემოქმედებს საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესებზე. ამდენად, კონკრეტული გარემო, მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი გავლენას ახდენს აქ მცხოვრებ ხალხთა ფსიქიკური წყობის ჩამოყალიბებაზე და ბუნებრივ პრიორიტეტებს გამოკვეთს მათ ყოფა-საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით საქართველო თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრებით მრავალფეროვან სურათს ქმნის, სადაც მთიანი რეგიონების გვერდით არის ზღვის სანაპირო, გაშლილი ვაკე-დაბლობები, ჭაობიანი მხარეები, უდაბნო და სხვ. ყოველივე ეს ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა პირობას ქმნის. შესაბამისად, ბუროთმოდერების ფორმირება- განვითარებისას, სხვადასხვა რეგიონში გარემო პირობების, ნაირგვარი სამშენებლო მასალის არსებობა განსხვავებული სამშენებლო საშუალებების, ხერხების, არქიტექტურული ფორმების გამოყენებას აპირობებს.

საქართველოს გამოარჩევს გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებაც. უძველესი ცივილიზაციის კერებთან კავშირის არსებობის შესაძლებლობამ, საუკუნეების განმავლობაში ურთიერთობამ ირანის, ძველი საბერძნეთის, რომის, ბიზანტიის, არაბების, აღმოსავლეთის ქვეყნების თუ შემდგომ რუსეთისა და ევროპის ქვეყნებთან, უსოოდ დიდი გავლენა იქონია როგორც საქართველოს ისტორიული, ასევე კულტურული პროცესების მიმდინარეობაზე და, კონკრეტულად, არქიტექტურის განვითარებაზე.

ამრიგად, გეოგრაფიული ფაქტორი ორ ასპექტს მოიცავს. პირველია - საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება, მისი ლანდშაფტის მრავალფეროვნება, რომელიც განსხვავებული სამშენებლო მასალის, საშუალებების, ბუროთმოდერული ტრადიციების და, გარკვეულწილად, სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის არსებობის პირობას ქმნის. მეორე ასპექტია - საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის სპეციფიკა, რომელიც მრავალ ქვეყანასა და განსხვავებულ კულტურებთან კავშირის, ურთიერთზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა; რაც შესაბამის გავლენას ახდენს ბუროთმოდერების და არქიტექტურული ტიპთა ფორმირების პროცესზე.



2. საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების თავისებურებაზე გეოგრაფიულთან ერთად ქრონოლოგიური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მისი არსებობის დროით ფარგლებს. აქ უპირველესად მნიშვნელოვანია საწყისი ზღვარის დაფიქსირება, რაც IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალური აღიარების ისტორიულ ფაქტს უკავშირდება. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ საქართველო ქრისტიანული სამყაროს ფორმირებისთანავე მის შემადგენელ ნაწილად იქცა. ამიტომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების, არქიტექტურულ ტიპთა ჩამოყალიბების და მათი გავრცელების ყველა საფეხურზე ქართული ხუროთმოძღვრება საერთო პროცესებთან კავშირსა და ურთიერთმიმართებაში განვითარდა. რამაც უდაოდ გავლენა იქონია საქართველოს ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიურ მრავალგვარობაზე. თუ საქართველოს ხელსაყრელი მდებარეობა (გეოგრაფიული ფაქტორი) სხვადასხვა ქრისტიანულ ცენტრებთან ურთიერთობას უწყობდა ხელს, საწყის ეტაპზე ქრისტიანულ სამყაროში შესულამ (ქრონოლოგიური ფაქტორი) ამ სამყაროში არსებული ინფორმაციის თანადროულად ათვისების შესაძლებლობა შექმნა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქართველოში სამწიგნობრო ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შემოტანის ფაქტი. მაშინ, როდესაც ქვეყნებში, რომლებიც რამდენიმე საუკუნით გვიან გაქრისტიანდა (მაგ.: რუსეთი), ბაზილიკა არ არის გავრცელებული. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროს, კონკრეტულად საქართველოს ხუროთმოძღვრებაში, არქიტექტურულ ტიპთა წარმოქმნა-ფორმირების პროცესი უფრო ინტენსიურად XII საუკუნემდე მიმდინარეობს. ამრიგად, ქრონოლოგიური ფაქტორი, ე.ი. საქართველოს ქრისტიანულ სამყაროში თანაარსებობის ხანგრძლივობა მის ხუროთმოძღვრებაში არქიტექტურულ ტიპთა მრავალგვარობის ერთ-ერთ პირობად გვევლინება.

3. ხემათ მოხსენიებული ორი ფაქტორი დროით-სივრცით კატეგორიებს განეკუთვნება. ამდენად, საქართველოს ხუროთმოძღვრების განვითარების ობიექტურ რეალებს აფიქსირებს. რაც შეეხება მესამე ფაქტორს, რომელიც საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის სახელით მოვიხსენიეთ, კონკრეტულად განსაზღვრავს საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიურ მახასიათებელს.

არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალს აპირობებს ერთი მხრივ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის გრძნობად-ფსიქიკური წყობის თავისებურება და კონკრეტული



ეპოქის იდეოლოგია, ხოლო მეორე მხრივ ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური და სამშენებლო შესაძლებლობების განვითარების დონე. ამდენად, საქართველოში ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაზე საუბრისას უადრესად მნიშვნელოვანია იდეოლოგიური მომენტი, რომელიც არქიტექტურას თავის წესებსა და კანონებს კარნახობს; აფალიბებს ქრისტიანული ეკლესიის, როგორც არქიტექტურული ნაგებობის სტრუქტურას, აზღვის მის შემადგენელ ნაწილთა რეგლამენტაციას. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს გრძნობად-ფსიქიკური წყობის და სამშენებლო შესაძლებლობების თავისებურებებს, რადგან უპირველესად ისინი განსაზღვრავენ საქართველოს ხუროთმოძღვრების თავისთავადობას, არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციების ჩამოყალიბების ძირითად მიმართულებას. სწორედ ეს ორი მომენტი აპირობებს ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს არქიტექტურის თავისებურებასა და თვითმყოფადობას.

საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის განხილვისას საპირობა გაიმთხროს ორი საფეხური. პირველი - მისი მდგომარეობა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მომენტისათვის, ე.ი. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყის ეტაპზე და მეორე - ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების პროცესში, როდესაც სხვადასხვა პერიოდში არქიტექტურის პოტენციური შესაძლებლობები განსხვავებული სახით და ინტენსივობით ვლინდება. თავად ტერმინი პოტენციალი საქართველოში ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ-სამშენებლო შესაძლებლობების გარკვეულ ერთობლიობად გაიაზრება, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში, ისტორიულ მონაკვეთში, რიგი სუბიექტური და ობიექტური მონაკვეთებით განპირობებულ ვითარებაში შესაბამის გამოხატულებას პოუვებს. არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალი არ წარმოადგენს უცვლელ კატეგორიას. სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის (ხუროთმოძღვრული ზერხებისა და საშუალებების, ტიპოლოგიური სქემების თუ კომპოზიციური გადაწყვეტის) დაგროვებისას ახასიათებს ზრდის ტენდენცია. ხელსაყრელი პირობების შექმნისას ხდება არსებული პოტენციალის მეტი ხისრულით გამოვლენა.

როგორც აღვნიშნეთ, არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის რეალურ ამოქმედებას გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მონაკვეთები აპირობებს, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირშია. კონკრეტულ ქრონოლოგიურ პერიოდში ქვეყნის ისტორიული და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ობიექტურ პირობას ქმნის არქიტექტურის განვითარებისა, ხოლო დამკვეთის ნება და შემსრულებლის,



ზუროთმოდერის შემოქმედებითი შესაძლებლობები გარკვეულ სუბიექტურ მონაცემს წარმოადგენენ. ეს ობიექტური და სუბიექტური მონაცემები აფორმებენ ქვეყნურ კონკრეტული სიტუაციის თავისებურებას, რომელშიც ხდება არქიტექტურული იდეის რეალიზება ზუროთმოდერული ნაგებობის სახით.

საქართველოში ქრისტიანული ზუროთმოდერების საწყის ეტაპზე ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის დონე იმგვარია, რომ შესაძლებელი ხდება ახალი ქრისტიანული ზუროთმოდერების ჩასახვა-განვითარება. ადგილობრივ ნიადაგზე ქრისტიანული ეკლესიის მიერ შემოტანილი არქიტექტურული ფორმები გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან. ეს პროცესი საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია. ქრისტიანულ რელიგიასთან, ახალ წესებსა და მოთხოვნებთან ადაპტაცია-შეთვისების პერიოდის შემდეგ, უკვე VI საუკუნის დასაწყისიდან, იწყება არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის ახალი ძალით ამოქმედება. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არქიტექტურულ ტაძთა ფორმირების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს, ხოლო XII საუკუნიდან ერთგვარი სტაგნაცია აღინიშნება. ზუროთმოდერული ძეგლების შექმნა ძირითადად არსებული არქიტექტურული ტიპების ფარგლებში ხორციელდება.

ამრიგად, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ფაქტორები, ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალი, ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც აპირობებენ საქართველოს ქრისტიანული ზუროთმოდერების განვითარების თავისებურებას და მის ტიპოლოგიურ მახასიათებელს.



1. Ш. Монтескье, Избранные произведения. Москва, 1955; Г. Бокль, История цивилизации в Англии, С.Петербург. 1906; Ф.Ратцель, Человечество как жизненное явление на земле, Москва, 1901.

ნინო იამანიძე
ხელოვნათმცოდნე

**სოფელ ურთხვის ქალსიის კანკელის
სიუჟეტური კომპოზიციები**

კანკელი, რომელიც წმინდა ადგილს - საკურთხეველს მრევლისაგან განკუთვნილი სიერცისაგან გამოყოფს, შუა საუკუნეების ტაძრის ინტერიერის აუცილებელ და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. არქიტექტურის ამ მცირე ფორმამ საქართველოში ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა და X-XI საუკუნეებისათვის მხატვრულად დასრულებული სახე მიიღო: მისი ქვედა კედელი ფილებისაგან შედგებოდა, რომელსაც სვეტებიანი თაღნარი ეყრდნობა და ანტაბლეშენტით სრულდება, შუაში აღსავლის კარია. ეკლესიის აფსიდის ზომებიდან გამომდინარე კანკელი შესაძლოა ყოფილიყოს სამ ან ხუთ მალღანი [1].

ჩვენამდე შემორჩენილ, სხვადასხვა მასალისაგან (ქვის, ხის, თაბაშირის) შესრულებულ კანკელთა შორის, განსაკუთრებით გამოირჩეულია ორნამენტული ჩარჩოთი შემოსაზღვრული, სიუჟეტური კომპოზიციებით შემკული ქვის კანკელები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ. უმთავრეს დანიშნულებასთან ერთად მათზე აღბეჭდილი რელიეფური გამოსახულებები, რომელთაც აზრობრივი დატვირთვა ენიჭება, სალოცაეი ხატების ფუნქციას ასრულებენ.

სამწუხაროა, რომ X-XI საუკუნეების, ქართული პლასტიკის ამ აღმავლობის პერიოდის, ჩვენამდე მოღწეულ არც თუ იხე მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის (ატენი, ხოვლე, საფარა, შიომღვიმე და სხვ.) ერთ-ერთი მეტად საინტერესო და მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული, მდიდრული ორნამენტული მოჩარჩოებით შემოსაზღვრული, ურთხვის წმინდა გიორგის ეკლესიის XI საუკუნის კანკელი [2] მხოლოდ ფრაგმენტულად შემოგვრჩა: ოთხი სცენიდან ორია გადარჩენილი - „წმინდა გიორგის ტრიუმფისა“ და „მოციქულთა კურთხევის“ კომპოზიციების გამოსახულებით, რომლებიც, სავარაუდო რეკონსტრუქციის მიხედვით, აღსავლის კარის ორივე მხარეს თავსდება [3].

კანკელის შესწავლამ საშუალება მოგვცა თვალი გაგვედევნა ურთხვის ოსტატის შემოქმედებისათვის, რომელიც თუმცა ამ პერიოდის ქართული პლასტიკის

საერთო ნიშნების ფარგლებში იწერება, მაგრამ მაინც საკუთარი, განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება.

სწორედ ამ თავისებურებათა ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა საქართველოში მეტად გავრცელებული და იკონოგრაფიულად დამუშავებული „წმინდა გიორგის ტრიუმფის“ გამოსახულება: ქართული ხელოვნების ნაწარმოებებში, როგორც წესი, მხედარი წმინდა გიორგი შუბით გმირავს ადამიანის ფიგურას - ცხენის ფეხებთან



სურ.1. ურთხვის ველსიის კანკელი

გამოსახულ უღმრთო მეფე დიოკლეტიანეს. ურთხვის სცენაში კი ცხენზე ამხედრებულ წმინდა გიორგის აღმართულ შუბზე წამოცმული მტრის თავი მოაქვს, რომლის თავმოკვეთილი ფიგურა ცხენის წინ, თავდაყირაა გამოსახული. თუმცა ურთხვის ოსტატი კარგად იცნობდა ამ სცენის სხვადასხვა რედაქციებს და იფუნდო კიდევაც მათ სცენის გამოსახვისას (მეომრის პოზა, ცხენის მოძრაობა დიოკლეტიანეს პოზის რამოდენიმე ელემენტით), ამავე დროს, უფიქრობთ, მან ზოგიერთი დეტალი საიმპერატორო იკონოგრაფიიდან და ბატალური სცენებიდან დაისესხა (წმინდა გიორგის შუბზე წამოცმული მოკვეთილი თავი და თავმოკვეთილი ფიგურა) და ყოველივე ამის საფუძველზე შექმნა სრულიად ახლებური და განსხვავებული სახე გმირისა, რომელიც გამარჯვების ამკარა დემონსტრაციას ახდენს [4].

ურთხვის ოსტატის შემოქმედებითი გამორჩეულობა, კანკელის მარჯვენა, განაპირა მხარეს განლაგებული „მოციქულთა კურთხევის“ სცენაშიც აისახა,



რომელშიც განსაკუთრებულად ნათლად გამოვლინდა ქართული ხელოვნების აღმავლობის პერიოდის საზასათო ნიშნები.

ამ სცენის ურთხვის კანკელზე გამოსახვა თვით კანკელის ზედახეობის აიხსნება. სიუჟეტური კომპოზიციების შერწყმისას აქაც, ისევე როგორც, ტრადიციულად, კანკელთა გაფორმებისას, ოსტატი საზარების ამბებს და საკურთხვევლში მიმდინარე ლიტურგიასთან დაკავშირებულ თემატიკას მიმართავს. „მოციქულთა კურთხევის“ სცენის შინაარსი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანთაგანია ქრისტიანული სამყაროსათვის, რადგან წარმოადგენს მოციქულთა ქადაგებად წარგზავნის ეპიზოდის ილუსტრაციას, ზოგადად კი ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებისა და იესოს მისიის სიმბოლოს დედამიწაზე. თუმცა მის შესახებ ოთხივე მხარეებელი მოგვითხრობს (მათე 28,16-20, მარკოზი 16,15, ლუკა 24,36-50, იოანე 20,21-23), ურთხვის სცენა ყველაზე მეტად ლუკას საზარებას უახლოედება, სადაც კონკრეტული მოქმედებაა მითითებული „და განიფანა იგინი ვიდრე ბუთანიამდე და აღიჰყრნა კელნი თვნი და აკურთხა იგინი“ (ლუკა 24,50).

სწორედ ამ შინაარსის გამოსახულებანი ძალზე პოპულარული გახდა ქრისტიანულ ხელოვნებაში, განსაკუთრებით შუაბიზანტიური ხანიდან. მისი მრავალრიცხოვანი ნიმუშები მოზაიკებსა თუ ფრესკებში, რელიეფებსა თუ მინიატურებშია წარმოდგენილი და ხშირ შემთხვევაში ჩამოყალიბებულ ტრადიციულ იკონოგრაფიულ სქემას გადმოსცემს-ცენტრში გამოსახული ქრისტი აკურთხებს მის ორივე მხარეს განლაგებულ მოციქულებს, რომლებიც თავგანს სცემენ მას. თუმცა ოსტატები ცდილობენ, დარგის საეციფიკიდან გამომდინარე, საინტერესო გადაწყვეტის პოვნას. ურთხვის ოსტატიც საკმაოდ გავრცელებულ რედაქციას მიმართავს: ხაზგასმულად გამოყოფილი, კომპოზიციის ცენტრში ფორონტალურად წარმოდგენილი ქრისტი ფეხსადაგამზე დგას. იგი შარავანდით მოსილი, ქიტონსა და ქიმატიონშია გამოწყობილი. განზე სიმეტრიულად გამილილი ხელებით მოციქულთა თავებს ეხება, რომლებიც (ევეს-ევესი თითო მხარეს) წელში ძლიერად მოხრილი, მუდრო განლაგებითა და საუროლო მოძრაობით ორ შერულ ჯგუფად ერთიანდებიან. მათ შორის წინა პლანზე წარმოდგენილ პეტრესა და პაულეს მოწინების ნიშნად ხელები ქრისტესკენ აქვთ გაწედილი. კომპოზიციას მოციქულთა ჯგუფებს უკან გამოსახული ხეები ასრულებს. ამასთანავე მათი ცენტრის მიმართულებით გადახრილი ტოტები მაცხოურისაკენ მიმართავენ ურადლებას. შესაძლოა, ხეების გამოსახულება ერთგვარად მიგვანიშნებს მოქმედების ადგილს - ელიონის მთას.



ამგვარად, ჩვენს წინაშეა ნათელი და სიმეტრიულად აგებული კომპოზიცია, ურთიანე და მხატვრულად დასრულებული, რომელშიაც ზეგების გაფორმებული კომპოზიციური დანიშნულების გარდა, დეკორატიულობაც შემოაქვს.

შინაარსის ცხადად აღქმას ზელს უწყობს ფიგურათა პლასტიური დამუშავება. მათი პროპორციულად აგებულ სხეულთა მოძრაობის და ექსტების თავისუფალი გადმოცემა. მიუხედავად რელიეფის მცირე ზომისა, სკულპტორი აღწევს ფორმის პლასტიურ გამოშსახველობას, სამოსით დაფარული სხეულის მოცულობას, იგი ძერწავს ფორმას, სამოსის ნაკევების ერთმანეთზე დაშრევაკ ხაზს უსვამს ფიგურის



სურ.2. ურთხვის კანკელი. ფრაგმენტი.
მოციქულთა კურთხევის სცენა. XI ს.

პლასტიურობას. ამავე დროს, დრამირების აღნიშვნისას, გრაფიკულ ხაზსა და დამატებით შტრიხებს იფენებს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფიგურათა მოძრაობას განსაკუთრებულ გამოშსახველობას ანიჭებს. სხვადასხვა მხატვრული ხერხების გამოყენება - მოცულობითისა და გრაფიკულისა - ცხოველბატულს ზღის რელიეფის ზედაპირს და დეკორატიულობის ეფექტსაც იძლევა.

ურთხვის კანკელში კომპოზიციის საერთო აგების დეკორატიულობასა და ნათლად გამოვლენილ პლასტიურობასთან ერთად დიდ მნიშვნელობას სცენის

შინაარსის გახსნისათვის მისი ემოციური ზემოქმედება იქნის: მოციქულთა კომპაქტურ ვეგუფებს შიგნით ძლიერად დახრილი ფიგურების განსხვავებული მოძრაობით იქმნება ზურგების მომხაზველი რკალების რბილი ტალღოვანი რიტმი და ღინება, რომელიც მიემართება ქრისტეს დიდებული, თითქოს "გრანდიოზული" ფიგურისაკენ - კომპოზიციის იდეური ცენტრისაკენ და ერთიანი მხატვრული გამომხაზველობის გარდა, განსაკუთრებული ემოციურობითა და განსულიერებით განმსჭვალავს მოელ სცენას, რითაც საგანგებო ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე. სწორედ ეს ღრმა ემოციურობა წარმოადგენს არა მარტო ურთხვის რელიეფის ერთ-ერთ უმთავრეს მხატვრულ ღირებულებას, არამედ დამახასიათებელია ამავე პერიოდის სხვა ქართული ძეგლებისთვისაც. მაგ. ურთხვის თანადროული საფარის კანკელის „ზარების“ სცენის ღვთისმშობლის ფიგურაში გამოხატული სინატიფე და რბილი ექსპრესიულობა, მისი შინაგანი კავშირი ანგელოზის ფიგურასთან, ან კიდევ ლაკლაკიძის ჭედურ ხატზე - ხაზთა ღინების მუსიკალურობა და სხვ.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ურთხვის რელიეფის იმ ზოგიერთ ბიზანტიურ ნიმუშებთან შედარება, რომლებსაც იგი იკონოგრაფიული სქემით უახლოვდება, რაც ურთხვის ოსტატის მიერ სცენის შინაარსის გახსნისადმი თავისებური, განსხვავებული დამოკიდებულების შეფასებისა და აგრეთვე, ურთხვის რელიეფში ასახული ქართული პლასტიკის აღმავლობის პერიოდის დამახასიათებელი ნიმუშების გამოვლენის საშუალებას მოგვცემს.

პეტერბურგის ლექციონარის (№ 21, X ს.[5], „მოციქულთა კურთხევის“ სცენა საერთო სქემით ახლოს დგას ურთხვის კომპოზიციასთან. თუმცა გამოირჩევა კიდევ უფრო მეტი ლაკონურობით: ოქროს ფონზე, კომპოზიციის ცენტრში, გამოსახულია ქრისტეს ფიგურა და მის აქეთ-იქეთ ეჭვ-ეჭვსი მოციქული. მთავარი განსხვავება სწორედ მათ განლაგებაშია: ლექციონარში ურთხვისეული მოციქულთა ვეგუფები მოციქულთა რიგებში შეცვალა - ისინი ერთიმეორეს ზემოთ ეწვობიან და მათი პარალელური რიგები თითქმის ქრისტეს ფიგურის სიმაღლეს აღწევს. მოციქულთა წინ დახრილი ფიგურები თავიანთი ზურგების რკალების განლაგებით გარკვეულ რიტმს ქმნიან, რომელიც გავრძელებას პოულობს ქრისტესაკენ გაწვდილ ხელებზე მრგვალად ჩამოფარებულ სამოსის ნახატში. მაგრამ ურთხვის რელიეფთან შედარებით, ლექციონარში სჭარბობს ერთგვაროვნება, რომელიც თავის მხრივ, ერთგვარი მონოტონურობის განწყობას ქმნის.

ურთხვის „მოციქულთა კურთხევის“ სცენისაგან განსხვავებით, თანონი კომპოზიციის თავისუფალი, დეკორატიული აგებით, ქრისტეს ფიგურის განსაკუთრებული გამოყოფით და მისი დამოკიდებულებითა და მდებარეობით მოციქულებთან, ლექციონარის გამოზომილი და მკაცრად სიმეტრიულად გააზრებული კომპოზიცია ვერტიკალდება აგებული, რომლებსაც ქრისტეს ფიგურა და მოციქულთა მწყობრი რიგები ქმნის. ყოველივე ამას ემატება გამოყენებული ოქროს ფონი, რომელიც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს კომპოზიციის ისედაც ბაზგანსულად დოგმატურ და იერატიულ ხასიათს და საბოლოოდ სცენა რეპრეზენტაციულ შთაბეჭდილებას ქმნის.

X საუკუნის II ნახევრის ლუერის სახარების სპილოსძელის ყდაზე [6] გამოსახული „მოციქულთა კურთხევის“ სცენაზე მსგავსი საერთო იკონოგრაფიული სქემაა დაცული: ცენტრში ქრისტე; მის ორივე მხარეს ექვს-ექვსი თავანისმცემელი მოციქული. აქ ოსტატმა განსხვავებული იკონოგრაფიული დეტალები შემოიტანა - ქრისტეს ფესტიკულაცია (იგი მარჯვენა, ზემოთ აწეული ზელით აკურთხებს, მარცხენაში კი გრაგნილი უჭირავს [7] და კომპოზიციის ზედა კუთხეებში წარმოდგენილი ანგელოზთა ბიუსტები [8]. ამგვარად, ქრისტეს პოზით, თავისთავად ესმება ხაზი სცენის წარმოდგენით ხასიათს და ურთხვის კანკელისგან განსხვავებით, ქრისტესა და მოციქულთა კავშირი სრულიად პირობითია.

ლუერის სცენას, ისევე როგორც ლექციონარისას, ვერტიკალური მიმართულება აქვს და მის პარალელ ხასიათს, ქრისტეს პოზის გარდა, მოციქულთა განლაგებაც განაპირობებს: ლექციონარის მოციქულთა მსგავსად, ისინი წელში მოხრილნი, ერთიმეორეს ზემოთ, მჭიდროდ თავსდებიან. მაგრამ თუ ლექციონარში მათი ზურგების განლაგება თუმცა ერთსაზოგან, მაგრამ მაინც შერბილებულად დენად რითმს ქმნიდა, ლუერის ფირფიტაზე მოციქულთა ზურგების ერთგვაროვანი აბრისით შექმნილი მონოტონურობა განსაკუთრებით თვალშისაცემია და თვით მათი ფიგურები კი გაფრულად გვეჩვენება. მოციქულები მხოლოდ ფორმალურად უკავშირდებიან ცერემონიალურად სადღესასწაულო ქრისტეს ფიგურას და მათი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ფიგურების მშრალი და სტემატური კონტურული ნახატი კიდევ მეტად აძლიერებს სცენის იერატიულ, დოგმატურ და რეპრეზენტაციულ ხასიათს, რითაც მეტად ლექციონარის კომპოზიციას უახლოვდება. ამ ბიზანტიურ ძეგლებთან შედარებით, ურთხვის რელიეფი საერთო სქემის ჩარბობიდან „გათავისუფლებულად“ აღიქმება.


საქართველოს
მეცნიერებათა
აкадеმიის
ბიბლიოთეკა



ამგვარად, ურთხვის „მოციქულთა კურთხევის“ რელიეფის განხილვაში საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ერთი და იგივე შინაარსის სიუჟეტური სცენის გადმოცემისას, მსგავსი იკონოგრაფიული სქემის გამოყენებისას, შემარტეტქმამქ ქართული ოსტატები სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას აღწევენ, რის გამოც განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ჩვენს მიერ განხილული ძეგლის ქართული წარმომავლობა და ცნობილი იკონოგრაფიული რედაქციის გამოყენებისას მისი შემოქმედებითა და თავისებურად გადამუშავების სურვილი.



1. რ.შმერლინგი ფუნდამენტურ ნაშრომში - "Малые формы в архитектуре средневековой Грузии", 1962, Тбилиси, ვრცელი მასალის საფუძველზე, წარმოადგენს ქართული კანკელის განვითარების ისტორიას.
2. Р.Шмерлинг. დასახ. ნაშრომი, გვ.147.
3. ნ.იამანიძე, სოფელ ურთხვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კანკელის რეკონსტრუქციის საკითხისათვის. ლიტერატურა და ხელოვნება. 1996 № 1-6. გვ. 239-246.
4. ნ.იამანიძე, სოფელ ურთხვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სიუჟეტური კომპოზიციების იკონოგრაფია. ლიტერატურა და ხელოვნება. № 1-2. 1997. გვ. 170-179.
5. A.Goldschmidt, K.Weitzmann. Die Byzantinischen elfenbeinskulpturen des X-XIII Jahrhunderts. Berlin. 1979. ტ.II. გვ.55.
6. -A.Goldschmidt. K.Weitzmann, დასახ. ნაშრომი ტ.II.XXXVIII ილ.100.
7. დ.ტალბოტ რაისის აზრით, "მოციქულთა კურთხევის" სცენის გამოსახვისას, ქრისტეს ის პოზა როდესაც იგი ორივე გამწვანებული ხელით აკურთხებს - აღმოსავლურ იკონოგრაფიულ სქემას მისდევს, ხოლო როდესაც მარჯვენათი აკურთხებს და მარცხენაში გრაგნილი უჭირავს - დასავლური რედაქცია უნდა იყოს, The Church of Haghia Sophia at Trabizond. Edinburgh. 1968. გვ.176.
8. D.Talbot Rice. დასახ. ნაშრომი, გვ. 175.



თამაზ ხანიკიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი



**უფლისციხის კონსერვაცია - რესტავრაციის და
ადაპტაციის შესახებ**

ჯგონებ, კვლავ რეალურად დგება ქართული კულტურის რამდენიმე ძეგლის დაცვისა და რესტავრაციის საკითხები. ბუნებრივია, რომ მათ შორის ერთ-ერთი არის უფლისციხე, იმ სრულიად გამორჩეული ადგილის გამო, რომელიც ადრეელნიისტური ხანის ამ უნიკალურ ქვაბულ-ქალაქს უჭირავს ქართული კულტურის ისტორიაში და იმიტომაც, რომ მას ძალიან უჭირს.

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ შეეადგინეთ უფლისციხის კვლევის, კონსერვაცია-რესტავრაციის და ადაპტაციის ვრცელი პროგრამა, რომელშიაც დეტალურად არის დახასიათებული ნაქალაქარის მძიმე მდგომარეობა, დასახულია გზები მისი გამოსწორებისათვის და მოცემულია წინადადებები ძეგლის ფართო პოპულარიზაციისა, რაც რა თქმა უნდა, თავისთავად, მთელი ქართული კულტურის პოპულარიზაციასაც გულისხმობს. უშუალოდ მომდევნო წლებში ამ პროგრამიდან ზოგი რამ განხორციელდა კიდევ: თითქმის მთლიანად გაითხარა და გაიწმინდა კლდოვანი მასივი, რომელიც ნაქალაქარს უჭირავს. აქვე გამოვლინდა მანამდე უცნობი და დიდად მნიშვნელოვანი რამდენიმე ნაგებობა (მაყვლიანი, მრგვალი ტაძარი, დიდი მარანი და სხვ.). ფრიად საინტერესო ძეგლები აღმოჩნდა ნაქალაქარის შემოგარენშიც (მაგ. ელინისტური ხანის ნამოსახლარი ჩანახას მიწაზე). ფაქტობრივად დამთავრდა უფლისციხის კვლევის კიდევ ერთი ეტაპი - გაიკვია მისი გეგმარებითი და სტრუქტურული თავისებურებანი და ისიც, რომ იგი ანტიკურ ხანაში სატაძრო ქალაქს წარმოადგენდა. გამოქვეყნდა რამდენიმე საფურადღებო ნაშრომი უფლისციხის არქეოლოგიური მასალების და არქიტექტურის შესახებ. ამასთანავე, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა უფლისწყლის ეკლესიაში. ბეტონის სამაგრები გაუკეთდა ზოგიერთ ქვაბულს. რკინის კონსტრუქციაზე აწყობილი ხის კიბე ჩაიდგა მტკვარზე ჩამავალ გვირაბში, რითაც შენარჩუნებული იქნა კლდეში გამოკვეთილი კიბის ნაშთები. რკინა-ბეტონის მასიური სხმულით ამოშენდა და გამაგრდა გვირაბისავე ზედა პორტალი და ა.შ.

ამავე პერიოდში უფლისციხე და მის ირგვლივ მოზრდილი ტერიტორია გამოცხადდა ნაკრძალად. დაარსდა უფლისციხის მუზეუმი, მტკვარზე კაპიტალური ხიდი. გაკეთდა ძველზე მისასვლელი ასფალტირებული გზა. უფლისციხე უფლებივე ეს მაინც ზღვაში წვეთია უფლისციხისათვის. ძველის გადასარჩენად და მოსაწესრიგებლად საჭირო ძირითადი სამუშაოები კვლავ მომავლის საქმედ რჩება. მათი განხორციელების აუცილებლობა კი დღეს უფრო მწვავედ იგრძნობა, ვიდრე



სურ.1. უფლისციხე

ოღესმე. დროთა განმავლობაში ძველის წგრევის პროცესი, სრულიად აშკარად, ხელ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. მოვიტან რამდენიმე მაგალითს: ჩამონგრეა მაკელაინის ერთ-ერთი მშვენიერი (კესონებით მოთული) დარბაზის წინა კედელი, წითელი დარბაზის პორტიკის კამარა, სამწაუიანი ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის მოზრდილი მონაკვეთი, ორი მცირე ზომის დარბაზი ქედს გადაღმა ტაძრის მახლობლად და ა.შ. (უფრო მცირე დაზიანებებს აღარ ჩამოთვლი). ეს მოხდა ხელ რამდენიმე წლის მანძილზე. თუ ასე გაგრძელდა (და

გაგრძელება თუ რაიმე რადიკალური ზომები არ მივიღეთ), მალე უფლისციხის ბუნებრივ ნამუსრალილა შემოგვრჩება, სხვათაშორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქვეყარ შემთხვევებს კაცი, რომელიც მხოლოდ დროდადრო ნახულობს უფლისციხის ნანგრევებს, სპეციალისტიც რომ იყოს, ალბათ, ძნელად თუ შეამჩნევს. კლდე ისეთია, რომ ჩამოვარდნისას, უმეტეს შემთხვევაში, ქვიშად იქცევა, რომელიც შემდეგ ან ქარს მიაქვს, ან მუზეუმის თანამშრომლები წმენდენ ზოლმე. კლდის ყოველი ნაკეცი ზებირად უნდა გახსოვდეს, რომ ნგრევის მასშტაბი და დიაპაზონი გააცნობიერო.

უფლისციხეს, სხვა უფრო დიდი საფრთხეც ემუქრება. ეს არის კლდის ტექტონიკური ბზარები, რომლებიც საკმაოდ ბევრგან შეინიშნება და, რომელთა გამოც წარსულში ძველს ბევრი რამ დააკლდა, კერძოდ, დასავლეთ მხარეს, სადაც ფრიალო ფლატე მრავალგვარ არის ჩამონგრეული. ეს კარგად ეტყობა კლდის კიდეც, სადაც რამდენიმე ქვაბული უსწორმასწოროდ არის გახლებილი. ასეთი ნგრევის შედეგად ქვაბულთა ორი კომპლექსი ოდესღაც მიუვალი გამზდარა. ქვემოთ, კლდის ძირში, დღესაც გდია უზარმაზარი ლოდები, რომელთაგანაც ზოგი ქვაბულთა ნაწილებს წამოადგენს. ეს ადგილები ნაწილობრივ გაითხარა და საინტერესო არქიტექტურული ფრაგმენტები გამოვლინდა.

ამჟამად კლდეს ორი საშიში ბზარი აქვს. ერთი ნაქალაქარის სამხრეთის უბანშია, კვეთს მტკვარზე ჩამავალი გვირაბის ზედა ხაზს და კლდეს დასავლეთის კიდემდე გასდევს.

მეორე, განსაკუთრებით საგანგაშო ბზარი გახსნილია ნაქალაქარის შუა უბნის ზედა, დასავლეთ მონაკვეთში. ზოგან მისი სიგანე 5 სმ-ს უდრის. რაც მთავარია, ბზარი დროთა განმავლობაში ფართოვდება. დაძრულია კლდის უზარმაზარი მასივი, რომელიც თუ მოწყდა, ხეში ჩაიტანს მეტად მნიშვნელოვან ქვაბულებს (მათ შორის ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარე გვიანი შუა საუკუნეების სამ ეკლესიას). ეს, ალბათ, ყველაზე დიდი ნგრევა იქნება ძველის მთელი ისტორიის მანძილზე. უფლისციხემ გაუძლო 1920 წლის გორის ცნობილ მიწისძვრას, გაუძლო უკანასკნელი წლების ძლიერ მიწისძვრებსაც, მაგრამ დღეთს ანაბარა ყოველთვის ვერ იქნება. აქ კლდის გასამაგრებლად ურთულესი სამუშაოებია ჩასატარებელი. ოპტიმალური ჩანს მისი რკინის ტროსით მოჭიმვა.

უფლისციხის კლდეში ნაკვეთი დარბაზების უმეტესობა გასამაგრებელია. მათ აქ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. ობიექტების რაოდენობა, სამუშაოთა ხასიათი და რეგიონობა ადგილზე უნდა დადგინდეს.



შემოგარენი ბუნების უნიკალურ ძველსაც წარმოადგენს. აქ კლდეები ქმნიან ოდესღაც დედამიწაზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესების საოცარ სურათს, მსოფლიოში ზოგან ასეთ სანახაობას ხელუწერად ქმნიან ადამიანის ცნობისმყოფეობის დასაკმაყოფილებლად.

სათანადოდ უნდა გაშავრდეს მტკერის სანაპირო ზაზი, რადგანაც უკანასკნელ წლებში მდინარე ინტენსიურად არღვევს ნაქალაქარის ძირში გაშლილ მშვენიერ ბაღებს. ეს არის საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, რომელიც შეიძლება ნამდვილ წალკოტად იქცეს. იგი შიშველი კლდეების ფონზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს ადამიანზე და ამასთანავე, კეთილმოწყობის ამოუწურავ საშუალებებს იძლევა. ლანდშაფტი ისეთია, რომ მასზე თავისუფლად მოეწყობა დასვენების, გართობის, კვების ობიექტები. სასურველია სოფ. ძველ უფლისციხეში ზოგირით დაზრეული და მიტოვებული სახლი აღდგეს და სასტუმროდ იქცეს (მხოლოდ მკვლევარ-არქეოლოგის ნებართვით). ნაქალაქარის აღმოსავლეთით მდებარე საღიზეარის ორი ღრმა უბე ბუნებრივად არის გამზადებული თეატრონის მოსაწყობად. აქ შეიძლება გაიმართოს მსოფლიოში ესოდენ ფართოდ გავრცელებული და მეტად ეფექტური „შუქისა და ბგერის“ ტიპის სანახაობანი; ამისათვის შესანიშნავ მასალას იძლევა უფლისციხის ხანგრძლივი, უწყვეტი და უმდიდრესი ისტორია, მისი გამორჩეული როლი ქვეყნის ცხოვრებაში, აღზეება-დაცემის ეტაპები და პერიოდები, კლდეში ნაკვეთი დარბაზები, რომლებიც ანტიკური ხანიდან დღემდე თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი (სხვა ამგვარი მაგალითი ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს), ძველის ფართო მასშტაბი, კომპაქტურობა და მთლიანობა, ეფექტური და მოხერხებული მდებარეობა და სხვა ისეთი ნიშანთვისებები, რომლებიც ქართული კულტურის ძველებს ნაკლებად გააჩნიათ.

ამასთანავე აუცილებელია: აშენდეს საგამოფენო დარბაზი (არსებობს პროექტი), სადაც ფართოდ იქნება წარმოდგენილი უფლისციხის არქეოლოგიური მასალები; მოეწყოს სუვენირების წარმოება; გამოიცეს ბუკლეტები, პოპულარული ნარკვევები, გამოკვლევები და სხვა სახის ნაბეჭდი პროდუქცია, რომელიც დღეისათვის საკმაო რაოდენობით არსებობს; გაკეთდეს კარგი დოკუმენტური ფილმი; დაარსდეს უფლისციხის სახალხო დღესასწაული და სხვ.

მინდა მკეროდეს, რომ ყოველივე ეს განხორციელდება. ამით უფლისციხე შეიძლება გახდეს ქართული კულტურის პოპულარიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი.



არის, რომ თითქმის ყველგან, განსაკუთრებით კი ანტიკური ეპოქის კვლევით ნაგებობებში, კლდის დამუშავებული ზედაპირი იჭერცლება და ფუნქციონირებს, დაფიქსირდა, რომ ეს პროცესიც თანდათან პროგრესულად მიმდინარეობს და ცხელი საერთო ეკოლოგიური ვითარებით შეიძლება აიხსნას. არსებობს კლდის გამაგრების სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ უფლისციხისათვის ოპტიმალური გერ ვერ გამოიწახა. 80-იან წლებში კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ლაბორატორიამ აქ კლდის გასამაგრებლად საკმაოდ ფართო მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა, მაგრამ შედეგები, სამწუხაროდ, არ არის სასურველი. კლდე გაუნდა საკმაოდ მყარი ზედაპირი, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ იგი დასკდა და უფრო ფართო მონაკვეთებად იწყო ჩამოვარდნა.

ერთი სიტყვით, ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა სამუშაოების გააზრების, დაგეგმვის და სწორად წარმართვის მიზნით აუცილებელია შეიქმნას უფლისციხის მუდმივმოქმედი (გნებათ - ხანგრძლივმოქმედი) კომისია, რომელშიაც გაერთიანდებან სხვადასხვა დარგის (ძეგლის მკვლევარი, რესტავრატორი, კონსტრუქტორი, გეოლოგი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი და ა.შ.) ცნობილი სპეციალისტები.

აუცილებელია გაგრძელდეს ძეგლის მეცნიერული კვლევა. უნდა განაახლოს მუშაობა უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურულმა ექსპედიციამ. თვით ნაქალაქარის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა არ არის დამთავრებული. გასათხრელი და გასაწმენდი ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭეები, რომელთა სრულყოფილად გამოვლენა უფრო ნათელს გახდის ძეგლის ხუროთმოძღვრულ სტრუქტურას. დასამთავრებელია ნაქალაქარის შემოგარენში (ბამბებში, ყათლანისხევში, ჩანახას მიწაზე) დაწყებული არქეოლოგიური გათხრები. მონიშნულია სხვა ობიექტებიც, რომელთა გათხრა აუცილებელია.

ბლოხანს უფლისციხეს კვლავ მოუმრავლდა მნახველი. სულ რამდენიმე წლის წინ კი, ძეგლის დამთვალეირებულთა რაოდენობა ათიათასობით განისაზღვრებოდა. და რაკი ქვეყნის დატყვევას არავინ ელოდა, წინ ვიყურებოდით და ამ მიმართულებითაც ვერცელი გვემბები გვექონდა, რაც ძეგლის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე „ამბეტყველებას“ გულისხმობს. ამ გვემიდან ბევრი რამ კვლავ სამომავლოდ რჩება. მათგან უმნიშვნელოვანესია უფლისციხის ნაკრძალის ზონის გაზრდა და მისი კეთილმოწყობა.

ნაკრძალის გაზრდაში, სხვა საკითხებთან ერთად, ვგულისხმობთ ნაქალაქარზე უშუალოდ მიმდგარი კლდეების დაცვასაც. საქმე ისაა, რომ უფლისციხე და მისი

შემოგარენი ბუნების უნიკალურ ძეგლსაც წარმოადგენს. აქ კლდეები ქმნიან თქვენსავე დედამიწაზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესების საოცარ სურათს. მსოფლიოში ზოგან ასეთ სანახაობას ხელოვნურად ქმნიან ადამიანის ცნობიერების შედეგად დასაკმაყოფილებლად.

სათანადოდ უნდა გამოვრდეს მტკერის სანაპირო ზაზი, რადგანაც უკანასკნელ წლებში მდინარე ინტენსიურად არღვევს ნაქალაქარის ძირში გაშლილ მშენიერ ბაღებს. ეს არის საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, რომელიც შეიძლება ნამდვილ წალკოტად იქცეს. იგი მიშველი კლდეების ფონზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს ადამიანზე და ამასთანავე, კეთილმოწყობის ამოუწურავ საშუალებებს იძლევა. ღანდშაფტი ისეთია, რომ მასზე თავისუფლად მოეწყობა დასვენების, გართობის, კვების ობიექტები. სასურველია სოფ.ძველ უფლისციხეში ზოგირით დანგრეული და მიტოვებული სახლი აღდგეს და სასტუმროდ იქცეს (მხოლოდ მკვლევარ-არქეოლოგის ნებართვით). ნაქალაქარის აღმოსავლეთით მდებარე სალიზარის ორი ღრმა უბე ბუნებრივად არის გამოზადებული თეატრონის მოსაწყობად. აქ შეიძლება გაიმართოს მსოფლიოში ესოდენ ფართოდ გავრცელებული და მეტად ეფექტური „შუქისა და ბგერის“ ტიპის სანახაობანი; ამისათვის შესანიშნავ მასალას იძლევა უფლისციხის ხანგრძლივი, უწყვეტი და უმდიდრესი ისტორია, მისი გამორჩეული როლი ქვეყნის ცხოვრებაში, აღზეება-დაცემის ეტაპები და პერიოდები, კლდეში ნაკვეთი დარბაზები, რომლებიც ანტიკური ხანიდან დღემდე თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი (სხვა ამგვარი მაგალითი ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს), ძველის ფართო მასშტაბი, კომპაქტურობა და მთლიანობა, ეფექტური და მოხერხებული მდებარეობა და სხვა ისეთი ნიშანთვისებები, რომლებიც ქართული კულტურის ძეგლებს ნაკლებად გააჩნიათ.


ამასთანავე აუცილებელია: აშენდეს საგამოყენო დარბაზი (არსებობს პროექტი), სადაც ფართოდ იქნება წარმოდგენილი უფლისციხის არქეოლოგიური მასალები; მოეწყოს სუვენირების წარმოება; გამოიყოს ბუკლეტები, პოპულარული ნარკვევები, გამოკვლევები და სხვა სახის ნაბეჭდი პროდუქცია, რომელიც დღეისათვის საკმაო რაოდენობით არსებობს; გაკეთდეს კარგი დოკუმენტური ფილმი; დაარსდეს უფლისციხის სახალხო დღესასწაული და სხე.

მინდა მჯეროდეს, რომ ყოველივე ეს განხორციელდება. ამით უფლისციხე შეიძლება გახდეს ქართული კულტურის პოპულარიზაციის ერთ-ერთი უშიშნელოვანესი ცენტრი.

დავით ლომიჯანი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

სანიშნული საძიებო კვ. VIII-V სს. ნოქალაქეში

პრეპარატი წელია სენაკის რ-ნის სოფ. ნოქალაქეში უაღრესად მნიშვნელოვან და ნაყოფიერ საძიებოებს აწარმოებს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქეის არქეოლოგიური ექსპედიცია. მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები კლასიფიცირებულია როგორც ტიპოლოგიურად ასევე




სურ.1. ნოქალაქევი. გენგემა.

ქრონოლოგიურად [1]. თუ ნოქალაქეის ნაქალაქარზე გამოვლენილი მასალიდან შედარებით უკეთაა შესწავლილი მისი დედაქალაქობის, ანუ ახ.წ. IV-VI სს.

დათარიღებული ძეგლები, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ნაქალაქარზე გამოვლენილ ადრეული ფენებიდან მომდინარე მონაპოვარზე. ძეგლი დღეისათვის ზოგადად სტრატეგიციერებულია. [2]. მისი ყველაზე ადრეული ცხოვრებისეული კვალი ჩვენს მიერ გერეგრობით ძე.წ. VIII ს-ით განისაზღვრება და ამ პერიოდის უაღრესად საინტერესო ძეგლები იქნა გამოვლენილი. ამ თვალსაზრისით საოცრად ნაყოფიერი გახლდათ არქეოლოგიური სამუშაოები აღმოსავლეთ გალანის გაყოლებაზე -VI და VII უბნებზე (იხ.გენ.გეგმა), კერძოდ კი K სექტორის მე-17, 18, 22, 23-ე და F-სექტორის მე-3, 4, 8, 9, 13, 14, და 19-ე კვადრატებში. აღნიშნულ ტერიტორიას ჩვენს მიერ პირობითად „გალანებშორისი“ ეწოდა, რომელიც ფლეთილი ქვით ნაგებ ქონგურებიან გალანსა და კვადროვან გალანს შორის არსებულ ტერიტორიას მოიცავდა. აღნიშნული გალანებშორისი F-8-ე კვადრატში არსებული კვადროვანი კოშკით ორ ნაწილად იყოფოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ მონაკვეთებად [2.148]. ამჯერად ჩრდილოეთ გალანებშორისის ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენაზე გვიჩვენებთ შვეიცრად. ეს გახლავთ სხვადასხვა ფერადი ქვებისა და ბუნებრივი მინერალებისაგან (კაფი, სარდიონი, აქატი, იასპი, კვარცი) მძივების დასამზადებელი საკმაოდ მსხვილი საიუველირო ცენტრი-საწარმოს გამოვლენა. საერთოდ უნდა აღნიშნოთ რომ ნოქალაქევის ნაქალაქარი თავისი კარგი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საცხოვრებლად იყო გამოყენებული, ეს კი ყოველი ახალი ცხოვრებისეული ეპოქის დადგომისას ძველის ნაწილობრივ (თუ მთლად არა) გამოხშირვა-განადგურებას იწვევდა. მრავალ ზის ნატრილებ ნოქალაქევის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ხშირად ზედაპირულად მოგვიპოვებია ზემოაღნიშნულ მინერალთა ნატეხები, ანატეხები, სანაფ-სამეტრევი ქვები და სხვ.

K სექტორის 23-ე და F სექტორის მე-3-ე კვადრატში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს (უბანი გაითხარა ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით-დ.ლ.) ჩვენს მიერ დაფიქსირდა მძივების სახეხ-საპირალბული ქვის აღმოჩენის ფაქტი (გამოყენილია ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმში). აღნიშნული ფენა ჩვენს მიერ ზოგადად ძე.წ. VIII-V სს-ით დათარიღდა [3]. დათარიღების საფუძველი, ამ ფენაში გამოვლენილ კერამიკულ ნაკეთობათა ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია გახდა. ნოქალაქევი მოპოვებული კოლხური კულტურის კერამიკული ნაკეთობანი სხვა სინქრონულ ძეგლებთან შედარებით უკეთაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში [4] ამის

საფუძველზე ამთავითვე აღნიშნავეთ, რომ ნოქალაქევის საიუველირო ცენტრი საწარმოს თარიღი შესაბამისად ძვ.წ. VIII -V სს-ით განესაზღვრეთ. იგივე ფუნაში ჩვენს მიერ მოპოვებული იქნა დიდი რაოდენობით ნახევრადძვირფასე მინერალები ნატეხები (კვარცი, სარდიონი, კაყი და სხვ. ძირითადად ნედლეულის სახით), იქვე ჩვენს მიერ უფრო დიდი ზომის სახეხ-საპრიალებელი ქვაც იქნა გამოვლენილი (ეს ნიმუში ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული სურ.2). ორივე ეს ეგზემლარი წარმოადგენს მოთეთრო ფერის ქვიშაქვისაგან დამზადებულ ნიმუშებს. ერთი მათგანი (სურ. 3) სოლისებური, 28 სმ.სიგრძის ნაკეთობაა, რომელსაც ირგვლივ მთელ სიგრძეზე სხვადასხვა დიამეტრის ღარები დაუყვება. მეორე ნიმუში კი უფრო მოქვია, რომელზეც ასევე სხვადასხვა დიამეტრის ღარებია გამოფენილი. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ადრეულ წლებში მოძიებულ განთხარ მასალაში, ე.წ. სოლისებური ფორმის სახეხ-საპრიალებელი ქვის ერთი ნატეხიცაა დაფიქსირებული (საინვ.დავთრის N12:974 - 1093).



სურ.2.

ნოქალაქევის ძვ.წ. VIII-V სს. საკმაოდ დიდ ფართობზე გაშლილ ნამოსახლარზე (დაახ. 2 ჰა. შესაძლოა ეს იყოს ქალაქური ტიპის დასახელება) კარგად განვითარებული სამეურნეო ურთიერთობების ერთ-ერთი დარგის-საიუველირო ხელოსნობის, მძივების დასამზადებელი საწარმოს არსებობას თითქოს ნოქალაქევის მდებარეობაც უნდა უწყობდეს ხელს. კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ამ საწარმოო ცენტრის გამოვლენა მინერალებითა და ბუნებრივი ნახევრადძვირფასი ქვებით საკმაოდ მდიდარ მდ.ტეხურის ნაპირას. საინტერესოა რომ ნოქალაქევის რეგიონში მდ.ტეხურა და მასში ჩამდინარე ღელები




საკმაოდ საინტერესო მასალას იძლევა ნედლეულის გამოვლენის თემატიკით. დღევანდელი სოფლის ცენტრში გამაყალ ერთ-ერთი ასეთი ღელის ზედაპირზე ჩვენს მიერ მოპოვებული იქნა დიდი რაოდენობით სწორედ იმ ჯიშის ქვები, რომლებიც სახეობის თვის დროზე მძიმეთა სახეხ-საპრიალებელი საგნები მზადდებოდა. რაც შეეხება ნედლეულს, როგორც მუხურჩის ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბ-მა ე.გოგაძემ გვაცნობა, მას მინერალოგ თ.მგელიაშვილთან ერთად მდ.ტყუხურის ნაპირებზე, მის შუნიკად მდ.ტარჩენტან საკმაოდ მდიდარი მინერალოგიური მასალები შეუგროვებია ზედაპირულად. [5] გარდა ამისა, იმავედროულად, როდესაც ნოქალაქევი ამ სახელოსნოს ნაშთები იქნა გამოვლენილი, ანალოგიური ფაქტები დაფიქსირებული იქნა ნოქალაქევის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3-ოდე კმ-ის მოშორებით სოფ. მუხურჩაში [6] (მარტვილის რაიონი) და დასავლეთით 16-ოდე კმ-ის მოშორებით ჩხოროწყუს რაიონის სოფ.ოჩხომურში [7]. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სამი საწარმოო ცენტრ-კომბინატის აღმოჩენამ სრულიად ახლებურად დააყენა საიუველირო საქმის განვითარების საკითხი ძვ.წ. VIII-V სს-ის კოლხეთში.

ნოქალაქევის ნაქალაქარზე საიუველირო დარგის განვითარებასთან დაკავშირებული ნიუთების (ნედლეული, საწყებები, მცირე ზომის გრდემლები, სახეხ-საპრიალებლები და სხვ.) აღმოჩენის ფაქტები თავისთავად მეტყველებენ შრომის საკმაოდ დიდ საზოგადოებრივ დანაწილება-ორგანიზაციაზე და მის ცალკეულ სფეროში მომუშავე ხელოსანთა პროფესიონალიზმსა საკმაოდ დიდ და მდიდარ გამოცდილებაზე. ვფიქრობთ, რომ ნედლეულის მოპოვებული საზოგადოება ცალკე არსებობდა. ნედლეულის მოპოვების შემდეგ იწყებოდა მისი დამუშავებისა და მძივების დამზადების უაღრესად რთული ტექნოლოგიური პროცესი - ქვის ფორმირება, გახეხვა-გაპრიალება, გახერხება, რეალიზაცია. ასეთი სახელოსნოების (ოჩხომური, მუხურჩა, ნოქალაქევი) შესაბამის ფენებში ძალზე ხშირია წუნდებულის, ნახევარფაბრიკატის ან საერთოდ დაზიანებული ეგზემპლარების გამოვლენის შემთხვევები. ამ პერიოდის კოლხეთში და მის მეზობელ რეგიონებში საკმაოდ გავრცელებულია მსხვილი დიამეტრის სფეროსებური მაღალხარისხოვანი სარდონის მძივები. მსგავსი მძივები ჩრდილოეთ შავზღვისპირეთიდანაც იყო ცნობილი [8.174]. მაგრამ მათი დამზადების ცენტრები უცნობი იყო. კოლხეთში, სარდონისაგან დამზადებული მსხვილი ეგზემპლარები ცნობილი იყო ნოსიდიდან, ფარცხანაყანებიდან, ვანძის სახით კი ნავგაზაოდან, სადაც დიდი რაოდენობით მცირე და დიდი ზომის ცალები იყო თავმოყრილი, (საინტერესოა რომ ნოსიდი, ნოქალაქევი,

მუხურა და ნაგვაზავო ეს ერთი რეგიონია 5-6 კმ-ის დაშორებით ერთმანეთისაგან. მანამ სანამ VIII-VII-VI სს. დათარიღებულ კოლხეთის სხვა თანადროულ ძეგლებზე, სამეურნეო ურთიერთობების ეს დარგი დაფიქსირებული არ გახლავთ. ეფიქრობთ, რომ პროდუქციის ამ სახეობაზე კოლხეთისა და მიმდებარე რეგიონების მოთხოვნილებას სწორედ ეს სახელოსნო-ცენტრები უზრუნველყოფდნენ.

როგორც ზემოთ აღნიშნავდით საიუველირო საქმის ეს დარგი შრომის კარგად მოწესრიგებულ ორგანიზაციას და იმედროულად ისეთი სამეურნეო დარგის განვითარების მაღალ დონესაც გულისხმობდა, როგორც სამთამადრო საქმე გახლდათ. სამთამადრო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე ძვ.წ.VIII-V სს-ის ნოქალაქეში ეს ცალკე საკვლევი თემაა, შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ საქმის მამტიკიებული არქეოლოგიური მასალა ნოქალაქეის VIII-V სს-ის ფენიდან საკმაოდ დაგროვდა (ლითონის სამსხმელო ციფხვი, საქმენი მილები, გრდემლები, სანაფი ქვები, წიდეები, პროდუქცია). სამთამადრო საქმის განვითარება, გარდა იმისა, რომ მეტალურგიის განვითარების საფუძველს ქმნიდა, იმედროულად ჩვენთვის საინტერესო მინერალების მოპოვების კარგ საშუალებას იძლეოდა. ამ მხრივ ნოქალაქევი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ცენტრ-კომბინატად გვევლინება VIII-V სს-ის კოლხეთში, სადაც ერთ ფენაში წარმოდგენილია, როგორც მეტალურგიისა ასევე მძივების დასამზადებელი საკმაოდ დიდი სახელოსნოს ნაშთები. ძვ.წ.VIII-VII-



სურ.3.

VI სს. კოლხეთში საკმაოდ ვითარდება სამთამადრო საქმე, მეტალურგია და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა სამეურნეო დარგები. ეფიქრობთ, სრულიად მართებულად შენიშნავს ბ-ნი ე.გოგაძე, რომ ასეთი დარგების ადგილობრივ ჩამოყალიბება და განვითარება, საწარმოო ცენტრების კიდევ უფრო გამრავლება



კოლხეთში კონკურენციის საფუძველს ქმნის და მის ფონზე საერთაშორისო კონტაქტები ერთგვარად სუსტდება [6]. ხდება ერთგვარი გადანაწილება ქვეყნის ბაზრებისა ადგილობრივი წარმოების სასარგებლოდ. ამის ერთ-ერთ შედეგად მთელი საფუძვლად ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული ბრინჯაოს ნივთების განძებად აღმოჩენის ფაქტები უნდა იქნეს მიჩნეული კოლხეთში. ყოველივე ამის ფონზე წინა პლანზე იწვევს ისეთი საკითხი, როგორცაა კოლხეთისა და საბერძნეთის ურთიერთობა ძვ.წ. VIII-V სს.

საუველირო საქმის ზემოაღწერილი დარგის დიდი მასშტაბები კოლხეთის ამ რეგიონში, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სავაჭრო-ეკონომიკურ და სამეურნეო ურთიერთობების განვითარების დონეზე. უფრო მეტად სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ ასეთი მასშტაბის საწარმოები ვიწრო-რეგიონალური და მით უმეტეს დაბალი სოციალური ფენის მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ იქმნებოდა. აღნიშნულ ეპოქაში კოლხეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი, ახლობელ თუ შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებთან, სავარაუდოა, რომ მჭიდრო კულტურული კონტაქტების ფონზე ვითარდებოდა [9]. შესაძლოა ეს რეგიონი ამ თვალსაზრისით ერთადერთი არ ყოფილიყო კოლხეთში და მითუმეტეს საქართველოში, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულ საწარმოებში დამზადებული პროდუქცია, იმავდროულად წარმოადგენდა ექსპორტის საგანს, როგორც საკუთრივ კოლხეთის სხვა რეგიონებში ასევე სინქრონულ, მაგრამ შედარებით აღმოსავლეთი რაიონებისათვისაც [7]. უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ ძველი კოლხეთისა და საბერძნეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დროს ბერძენთა მხრიდან განსაკუთრებული პრიორიტეტი გემთსამუნ ზე-ტყვისთან, ფისთან, ხელთან და სხვა პროდუქციასთან ერთად, ლითონსა და ბუნებრივ მინერალებს და მათგან დამზადებულ მზა ნაწარმსაც უნდა მიეძღვნა. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში დიდი ზომის, სფეროსებურ, მაღალი ხარისხის სარდლიონისაგან ზემოაღნიშნულ საწარმოებში დამზადებული მძივები კოლხეთის ექსპორტში თავის ადგილს დაიკავებდა. ვფიქრობთ, მართებულად შენიშნავს ბ-ნი ე-გოგაძე, რომ ამ თვალსაზრისით კოლხეთი საბერძნეთისათვის ბევრად ხელსაყრელი პარტნიორი გახლდათ ვიდრე ინდოეთი ანდა სხვა შორეული ქვეყნები.

ნოქალაქევის, მუხურჩისა და ოჩხოჭურის საიუველირო საწარმოებში დამზადებული პროდუქცია, რომ ნამდვილად პრიორიტეტული პროდუქცია გახლდათ

ამის პირდაპირი მოწმობა საკუთრივ კოლხეთში სინქრონული მუგულებიდან მრავლად მოგვეპოვება. მხედველობაში გვაქვს ასეთი მძივების განმეხად აღმტენის შემთხვევები [4], სადაც ამ პროდუქციის საკმაოდ დიდი რაოდენობა (ფაქტები) (ნოსირის განძი, ფარცხანაფანვის და ნაგეაზოს განძები).

საინტერესოა, რომ ნოქალაქეში დიდი ზომის სფერული სარდლიონის მძივები ჯერჯერობით მოძიებული არ ვახლავთ. ამ მხრივ ნოქალაქეში რთული ვითარებაა, რადგან სინქრონული (ძვ.წ. VIII-V სს.) სამაროვანი ჯერჯერობით დაფიქსირებული არაა, სავარაუდოა, რომ ასეთი მალაზხარისზოვანი პროდუქცია (ადგილობრივ სამარბებში მათი სიმცირე, სამაგიეროდ განძებში მათი თავმოყრა) დიდწილად საექსპორტო დანიშნულებისა ვახლდათ და მათ ჯერ-ჯერობით როგორც ირკვევა ერთი რევიონი ამზადებდა (ამ თვალსაზრისით გარკვეული კორექციები შესაძლოა მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა შეიტანოს). იგივე ფაქტები, ალბათ იმაზეც მიგვითითებენ, რომ ეს პროდუქცია მაშინვე საკმაოდ ძვირად ფასობდა და ამდენად მისი შექმნის შესაძლებლობა მხოლოდ გარკვეულ სოციალურ ფენას გააჩნდა.

ნოქალაქეის ნაქალაქარზე ძვ.წ. VIII-V სს-ით დათარიღებულ ფენაში საიუველირო სახელოსნოს მოკვლევა რევიონში წარმოების განვითარების საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელია, ეს ფაქტი კი კიდევ უფრო ავსებს და ხვეწავს ასეთ საწარმოთა აღმოჩენების (მუხურაა, იჩხოშური) ტოპოგრაფიას პროტოანტიკური ხანის კოლხეთში.



1. დ.ლომიტაშვილი. ცენტრალური ეგრიზი IV-VI სს. დის. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1990 წ.
2. დ. ლომიტაშვილი. სტრატეგრაფია ნოქალაქეის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხ-ით) ნოქალაქევი-არქეოპოლისი ტ. III. თბ. 1993 წ.
3. მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვარზე დაყრდნობით დღეს უკვე არის საშუალება ასეთი დიდი ეპოქის დიფერენცირებისა, თუმცა ადგილზე ეს, ძვ.წ. VIII-V სს.-ით დათარიღებული ფენა უწყვეტადაა წარმოდგენილი.
4. ე.გოგაძე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ. 1982 წ. თ.მიქელაძე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო

წელზე. თბ. 1978 წ. მისივე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ. 1985 წ. ვანი, V. თბ., 1981. ე-ლიჩელი. ძველი ვანი. სამეურნეო უბანი. თბ. 1991 წ.

5. ბ-ნ ე-გოგაძეს მოწოდებული ინფორმაციისათვის უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.
6. Гогодзе Э.М. Давлианидзе Ц.О. Панцхава Л.Н. Изготовление цветных каменных бус в древней Колхиде и некоторые аспекты ремесленного производства Колхидской Культуры. Материалы V Межд.симпозиума по древней истории Причерноморья. Вани, 1987 г. Тб., 1990 г.
7. ჯ-აფაქიძე. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძველი ცენტრალური კოლხეთიდან. „ძველის მუგობარი“, № 70 1985 წ. მისივე, Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тб. 1991 г.
8. Б.А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. Т. I Тб. 1949 г.
9. Э.М.Гогодзе, Ц.О.Давлианидзе, Л.Н.Панцхава. Открытие памятников нового типа в Колхиде. (ზელნაწერით სარგებლობის უფლებებისათვის ავტორებს მადლობას მოვასხენებთ).

ჯუშბერ კოსალიანი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ქვეშის ციხე

„ველამ კარგად შეიტყვეით, რომ ქვემო
თავის მარჯუნიდან ჩემია“

ვრიგოლ ორბელიანი

ქვემო ქართლის შუა საუკუნეების ერთ-ერთი ძველი, ძლიერი და ლამაზი ციხე-სიმაგრე ქვეშის ციხე მაშავერას ხეობაში, თბილისიდან სომხეთისაკენ მიმავალ მთავარ გზაზე, დღევანდელ ბოლნისის რაიონში მდებარეობს.

„ქვეშის ციხე არს მალაღს კლდესა ზედა მდგომი, ჰაეითა და თუალთათვის მშუენი“ (ვახუშტი); „...თავთ(ვარდან დადიანი - ვ.კ.) ქვეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა“ („ისტორიანი და აზმანი შარაყანდელთანი“-ს ავტორი).

ქვეშის ციხეს ძალზე მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ადგილი ეკავა. ამ ციხესთან გადიოდა ისტორიული გზები და აქ საბაჟოც ყოფილა. ციხე მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა. გარკვეულ პერიოდში ქვეშის ციხე „მაშავერას აუზის ადმინისტრაციულ ცენტრადაც იქცა“ (დ.ბერძენიშვილი). მას ასეთი მდგომარეობა ეკავა ადრე შუა საუკუნეებში, სანამ მაშავერას ხეობაში აშენდა დმანისის ძლიერი ციხე-ქალაქი (IX-X სს.). ქვეშის ციხე თამარ მეფემ ქვემო ქართლის სხვა მნიშვნელოვან ციხეებთან (კაენი, ორბეთი, ერთად მსახურთოხუცესს, ფაქტიურად, მთელი დასავლეთ საქართველოს მფლობელს - ვარდან დადიანს უბოძა, რომელმაც იგი თავის რეზიდენციად გაიხადა. ვუიქრობთ, თამარ მეფის ეს მოქმედება განპირობებული იყო იმით, რომ ვარდან დადიანის, როგორც ერთ-ერთი ძლიერი და ანგარიშვასაწვევი ფიგურის გული მოეგო. არ არის გამორიცხული, თამარი გარკვეულწილად გრძნობდა მეტრნაკლებ უმყოფილებას იმაზე, რომ „გაერთიანებული საქართველოს ცენტრი აქეთ გადმოვიდა. ქუთაისმა და არტანუჯმა, როგორც პოლიტიკურმა ცენტრებმა, თავის დრო მოჰამეს, პროვინციულურ მნიშვნელობისად დარჩნენ. ახალი ქვეყნის ცენტრი თბილისი და მისი მიმდგომი ქართლ-კახეთ-ქვერეთი იყო“ (ნ.ბერძენიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ თამარმა ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ციხეები ვარდან დადიანსა და მის შვილს (ივანეს გავის ციხე ჰქონდა) უბოძა, მაინც ვერაირი მოხერხდა თამარის წინააღმდეგ აჯანყების თავიდან აცილება, აჯანყებულმა უკვე დაკარგული ფორმალურად თამარ მეფის საქართველოდან გაძევებული ქმარყოფილი გიორგი რუსი

ქვემო ციხე
კვლევის მშპ-ის №1 (100)



სურ.1. ქვემო ციხე. გეგმა.

ჩაუყენეს სათავეში, ფაქტობრივად კი ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა თვით ვარდან დადიანი. აჯანყებულებს უნდოდათ თამარისა და მისი ქმრის, დავით სოსლანის თავიდან მოშორება და ტახტზე გიორგი რუსის დასმა. აჯანყება დამარცხდა. შემოთადრინებული ციხეები და მათ შორის ქვემო ციხეც ვარდან დადიანს ჩამოერთვა. შემდეგ ქვემო ციხე თორელების საგვარეულოს გადაეცა, ხოლო მოგვიანებით ავი

თორელთა ერთი შტოს - ჯგეაზიშვილების ზელში გადავიდა. XV საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნემდე იგი უკვე ბარათაშვილთა საგვარეულოს (ბარათაშვილ-ყაფლანიშვილ-ორბელიანების) ზელშია. ბარათაშვილთა წინაპარტყელები საქართველოდან მოსული ქაჩიბაძე ყოფილა. ამ გვარის წარმომავლობას აფხაზურსაც უკავშირებენ (ს.ჯანაშია).



სურ.2. ქვეშის ციხე.
ზელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ქვეშის ციხის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ მას ამ მხარეში თავის რეზიდენციად - საჯდომად ვარდან დადიანის გარდა სხვა ფეოდალებიც იყენებდნენ, უფრო მეტიც, - ზოგჯერ ქართლის მეფეებიც.

ქვეშის ციხე აუშენებიათ მალა აზიდულ, ფაქტობრივად, ერთიან, მასიურ კლდეზე. ციხეზე შეინიშნება მშენებლობის სხვადასხვა პერიოდი. ბოლოს მთლიანად აღუდგენია და ახალი დროის მოთხოვნების გათვალისწინებით (სათოფურები მაქვს მხედველობაში) XVIII საუკუნის შუა ხანებში აუშენებია სარდალს და მსაჯულთუხუცესს ქაიხოსრო ორბელიანს.

ციხეს მთელ პერიმეტრზე შემოუყვება გალავანი, რომლის სიგრძეა 220 მ. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1,0-დან 8,0 მეტრამდეა, სისქე კი 1,0 მეტრია.

ციხეს აქვს სხვადასხვა ზომისა და ფორმის 14 კოშკი, თავისი ბუხრით. შემორჩენილია 42 სათოფე, რომლებიც, ფაქტობრივად, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარესაა განლაგებული, რადგან ციხე ამ მხრიდან შედარებით ადვილად მისადგომია.



ციხეს ერთადერთი და ძალიან საინტერესო შესასვლელი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. აქვე, შესასვლელის თავზე, კლდეში ოთხკუთხედიანი ნიშანი სპეციალურად გამოჭრილი ადგილია, სადაც გადმოცემით წარწერიან *ქვემოთქმული* ჩასმული და მასში ორბელიანი იხსენიებოდა (ლ.მუსხელიშვილი). ალბათ იგი ციხის განმარტებული ქაიხოსრო ორბელიანი იყო.

ციხის შესასვლელი გაჭრილია მასიურ კლდეში. მისი სიგრძეა 10,0 მეტრი, სიგანე - 2,40 მ, სიმაღლე - 2,10 მ. „გვირაბში“ შესასვლელი უფრო ვიწროა. კარის



სურ.3. ქვემოთ ციხე.
ზედი დასავლეთიდან.

ღიობის სიმაღლეა 1,70 მ, ზოლო სიგანე - 1,40 მ. შემორჩენილია კარისა და ურდულის ბუდეები. შესასვლელი „გვირაბის“ მთელ სიგრძეზე დასავლეთის კედელში (კლდეში) გაკეთებულია 0,50 მეტრი სიგანისა და 0,60 მეტრი სიმაღლის ჩამოსაჯდომი. შესასვლელის, უფრო სწორად, გვირაბის გაელის შემდეგ, იქვე, დასავლეთის მხარეზე, მალა, ჩრდილოეთის მიმართულებით, თითქმის შესასვლელი გვირაბის თავზე, აღის კიბე. კიბე 32 საფეხურისაგან შედგება. აქედან 16 საფეხური სპეციალურად გათლილი ორ-ორი ქვისაგან არის მოწყობილი, ზოლო ზემოთა 16 საფეხური უშუალოდ კლდეშია გამოჭრილი. საფეხურების სიგრძე საშუალოდ 1,70 მეტრია, სიგანე - 0,35 მ.

გათხრების შედეგად გამოვლინდა ერთი ორსართულიანი, ქეითა და დულაით აშენებული საცხოვრებელი ნაგებობა (ზომ.5,85 X 3,50 მ). ნაგებობას ბუხარით აქვს გამოვლინდა ერთი კოშკი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს აკონტროლებს ქუჩას.

ციხის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილას, უშუალოდ მასიურ კედელში ამოჭრილია წყლის რამდენიმე დიდი რეზერუარი (ზომ.: № 1 ორმო: h - 4,0 მ, პირის d - 1,0 მ, ძირის d - 3,75 მ. № 2 ორმო: h - 4,0 მ, პირის d - 1,40 მ, ძირის d - 2,80 მ. ეს ორმო ჭვევრით მუცლიანია. მუცლის d - 3,40 მ. № 3 ორმო: h - 2,50 მ, პირის d - 1,0 მ, ძირის d - 3,0 მ).

ციხის სულ ზემოთა ნაწილში დგას პატარა ეკლესია (ზომ. 5,50 X 3,50 მ), რომელიც გვიან შუა საუკუნეებშია აშენებული. კედელში საშენ მასალად გამოყენებულია (ზოგიერთ ადგილას ჩატანებული აქვს) V-VI და XII-XIII საუკუნეების დროინდელი, აქვე არსებული ეკლესიის კედლის დეტალები, ბოლნური ჯერებითა და სხვადასხვა ორნამენტით შემკული ქვები.

გათხრების შედეგად ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა (კერამიკული, ლითონის, მინის ჭურჭლისა და სხვა ნივთების ფრაგმენტები); კრამიტის (ღარიანი და ბრტყელი) ფრაგმენტები; ხელწისკვილის ნატეხი.

ეს მასალა გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება.



1. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილია ვეღა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
2. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილია ვეღა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959.
3. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974.
4. დ.ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბილისი, 1979.
5. პ.ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბილისი. 1973.
6. ს. ჯანაშია, შრომები , II , თბილისი, 1952.
7. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი 1955.
8. ჯ. კობალიანი, დმანისის ციხე, თბილისი, 1996.

თინა გაგნიძე

ფეიქრობის აპრაქსული დღეები

ფეიქრობა საქართველოში შინამრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, რომელიც ნეოლითის ხანიდან იღებს სათავეს და განვითარების საუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია.

ფეიქრობასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა-წარმოდგენები დუალისტური ხასიათისაა, რომელსაც საფუძვლად უდევს კეთილსა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის, კარგისა და ცუდის მრავალსულიანობის კონცეფცია [1]. ერთი ნაწილი ფეიქრობის მფარველი ღვთაებები გვეჩვენებინ: ლამარია, მარიამ ღვთისმშობელი, წმ. გიორგი, კვირია, კოპალა და სხვ. ხოლო მეორე ნაწილი დემონურ ძალებად ჩანან: ჯადოქრები, როკაპები, მისნები, პირქუშები და სხვ.

ძველ სამყაროს ცივილიზაციებში ფეიქრობა ღვთაებრივ ხელობად ითვლებოდა და მის გამომგონებელად ღმერთებს თელიდნენ [2]. გ.ჩაჩაშვილის მოსაზრებით: „მამინ, როცა ფეიქრობის შრომა თავისუფალი იყო ეს უმაღლეს ხელოვნებად იყო წარმოდგენილი... სწორედ ამ საფეხურს შეესაბამება რელიგიური წარმოდგენა ფეიქრობის მფარველ ღვთაებების შესახებ“ [3]. მისივე აზრით: „ადრეკლასობრივ საზოგადოებაში თავისუფალ შრომასთან ერთად ადგილი ჰქონდა ფეიქრობაში იძულებით შრომის გამოყენებას და ამიტომ ახლა უკვე ფეიქრობა „ღვთაებრივ“ ხელობად კი არა, არამედ ჩაგრულთა, დემონთა და ღარიბთა ხვედრად გადაიქცა“.

ამ აზრის დასაფიქსირებლად მოვიყვანთ მაგალითს მარიამ ეგვიპტელის ცხოვრებიდან: „შეკოდავი (ლატაკი, არაფრის მქონე) ვიფაეი და მრავალგზის სელსა ვქსოვდი და მით ვიზარდებოდე“ [4]. იგი თავს ანებებს უწმინდურ ცხოვრებას და წმინდა მამებთან ერთად მიილტვის წმინდა ადგილისაკენ (იერუსალიმი). მარიამ ეგვიპტელი ამასთან ერთად ამბობს: „შე დავაგდე სასთავი ჩემი და მივდიოდე ზღუად“.

ბოროტი ძალები, მაშინაც არ უსვენებენ მარიამს, როცა იგი „უფლის საპერანგეს“ - ქრისტეს კვართს ქსოვდა. ეს ასახულია მითულეთ-გუდამაყრულ, რაჭულ, იმერულ, გურულ და სხვ. შელოცვის ტექსტებში:

.....ჩამოიარა ქედერმა ურიამ დამქინა,

ჩამომეშალა თმაო გიშრისა, ჩამომეშალა ყლაო ვერცხლისა.

ჩამომეშალა ქსელი ოქროსი, ჩამომეშალა ბეჭი რკინისაო,
ჩამომეშალა ფხანი სინისაო“ [5]

(სოფ. ქვემო ბედონი-მოთიულეთი)

მისი მეორე ვარიანტი ასეთია:

„... ჩამოიარეს ურჯულოთ, დამნატვრეს დასანატრავითა,
გადამეტკა ვდანი აღვისი, ჩამომეშალა ქსელი ბროწეულისა,
გამიტვდა ბეჭი კუნისი... ჩამომეშალა თმანი ოქრო ქორისი“ და ა.შ.

ს.ლისიციანის დაკვირვებით „Кавраткачество очень кропотливая и тяжелая работа. По местному (имеется виду Нагорный Карабах) сказанию этому искусству научил человека не добрый дух, черт, увлекая его красотой производства, чтобы извести его“ [6].

ნ.ზიბერის ცნობით ძველი აღმოსავლეთის მოელ რიგ სახელმწიფოებში ფეიქრობა ხელოსნობის ყველაზე დაბალ რანგად ყოფილა მიჩნეული, ხოლო ფეიქრები საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენად მოიხსენიებოდნენ [7].

მსგავსი შეხედულებები დამკვიდრებული იყო ანტიკურ საბერძნეთში, იტალიაში, შუა საუკუნეების გერმანიაში, რაც სავსებით შესაბამეა კლასობრივ საზოგადოებაში ფეიქართა დაბალ სოციალურ მდგომარეობას.

საქართველოში ხელსაქმე - ქარგვა, კერვა, ქსოვა, ჩეჩვა, როვა, ღებვა და ა.შ. ოჯახში ყველა ქალს, პირველ რიგში გასათხოვრებს, უნდა სცოდნოდეთ, რაც ქართულ წეს - წვეულებებში ნათლადაა ასახული.

იაკობ ცურტაველი პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში ქალის ხელსაქმეს „ჰინჰაუბ აბრეშუმისას“, „ხელთსაქმარს“ უწოდებს [8].

ხელის სიმარჯვე ნაზიკურის აზრით საპატარძლოს ერთ-ერთ ღირსებად ითვლებოდა. იგი თავის სათაენოს (მზითვს) თვითონ იშხადებდა [9].

ი.ჭყონიას მოსაზრებით: „ქორწილის დროს პატარძალს თავისი ხელით ნაქსოვი ფარდაგი გამოსაჩენ ადგილზე უნდა ჰქონოდა გაკრული“. მოთულეთ-გუდამაყარში გარდა ამისა მას მეუღლის ყველა ნათესავი მამაკაცისათვის, ვისაც ცხენი ჰყავდა „ფაჯრები“ (ცხენის უნაგირზე გადასაფარებელი) უნდა მოექსოვა, ხოლო მოყვარებისათვის კი კრელი წინდები [10].

ე.მაჭავარიანს მოთულეთ-გუდამაყარში ბაეშევზე ხელსაქმის დაბედების ფრაგმენტი ასე აქვს აღწერილი: „ერთი წლის ბაეშევს დასვაენდენ (ფარდაგზე), წინ



დაუკრიდნენ ხელსაქმის იარაღს თუ გოგონა იყო: საჩუჩელს, ფარტენას, ზოგერს, სატეხელს. სასთავ ტარს, დუქარდს” და სხვ... რასაც ბავშვი პირველად ხედავდა წაველებდა იტყოდნენ - „იმის ნიჭი გამოვყვებო“, „მისი იღბალი ექნება“ [11].

ხეცურეთში ამგვარ ქმედებებს „დაწვენება“ ეწოდებოდა.

ხელსაქმის დაბედებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა წესი არსებობდა. ზოგჯერ ახალდაბადებულ გოგონებს ხელს შეახებინებდნენ კეირისტავს, თითისტარს, მაკრატელს და სხვ. გოგონებს ხელსაქმეს 6-8 წლის ასაკში ასწავლიდნენ - დედა, ბებია, უფროსი და ან სხვა ახლობელი.

ფეიქრობისათვის კეირის დღეები სხვადასხვანაირად იყო გამოყენებული. ისინი დაგვიწვებული იყო სამ რიგად: საუქმო | საბედნიერო, კარგი და მონად, | კუბატი, | ნაკანი | ცუდი და სხვ.

ხელსაქმე აკრძალული იყო ყველა საუფლო რელიგიური დღესასწაულების დროს.

რაჭაში შემორჩენილი ძველი რელიგიური დღესასწაულის „ბოსლობის“ (ახალი წლის ერთკვირიანი ციკლის) დროს ქალებს ეკრძალებოდათ ქსოვა, რთვა, ჩრევა, კერვა და სხვა, რადგან საუქმოს დარღვევა იწვევდა - გოგების თავზრუდახვევას, თვალების დაფხოხობას, ნამატის ფეხმრუდობას, ხანძრის გაჩენას, უღარობას და ა.შ. [12]. ანალოგიურად მთიულეთ-გუდამაყარში „ბერბერას“ საუქმოს შეუნახველობა იწვევდა ცხოველების დარეტიანებას და დაბრძვევას.

ჯ.რუხაძის მოსაზრებით ღვთაება „ბერ-ბერა“ უკავშირდება ღვთაება „ბოსელს“, რომელიც ცნობილი იყო ბოსელ | ბოსლა | ბოსლოს სახელით. ახალი წლის რიტუალში წარმოდგენილი ბერის პერსონაჟი უკავშირდება ღვთაება „ბოსელს“ და წმ. ბასილს. ერთ შემთხვევაში იგი ბერიკაა, მეორე შემთხვევაში ბასილი. ორივე პერსონაჟი გამრავლების ითიფალურ პერსონაჟს წარმოადგენს [13].

იმერეთში ღვთაება „ბოსლიკოტი“ ახალი წლის დღესასწაულში ფეიქრებს აფრთხილებდა - „ქალო ნუ სტავ ჩერიასა, ზე შევახმობ ხელიასა, ზე დაგაკლავ კერიასა“ [14].

ანალოგიურ მოსაზრებაზეა დაფუძნებული იტალიის ხელისუფალთა მიერ მიღებული კანონი, რომლის მიხედვით გზად მიმავალ ქალს ეკრძალებოდა, არა მარტო რთვა, არამედ თითისტარის ხელში დაჭურავ, რადგან ამგვარი დარღვევები იწვევდა მარცვლეულის (სელი და სხვ.) მოსავლის ღეროების მტვრევას [15].

საქართველოში ფეიქრობა აკრძალული იყო მაშინაც, თუ სოფელში მიცვალებული ჰყავდათ, სანამ მას არ დაკრძალავდნენ, მანამდე უქმობდნენ. ფეიქრობა აკრძალული იყო ბავშვების ავადმყოფობის დროს თუ სტუმრად „წითფეხები“ ჰყავდათ. „ბატონების სტუმრობამდე“ რკინის საბუშაო იარაღის ხმარება იკრძალებოდა [16].

საქართველოში შაბათ-კვირის უქმობის მნიშვნელობა ისეთი დიდი ყოფილა, რომ იოანე ბატონიშვილის მიხედვით, „შაბათს შუადღის შემდეგ აღარ საქმობდნენ, იტყოდნენ „კვირა ძალიაო“ და კვირაც მთელი დღის საუქმო იყო“ [17].

„უფალი შაბათს შუადღიდან კვირა შუადღემდე კარავს გადმოდგავს და კვირა ნაშუადღევს შეაბრძანებსო“, - აღნიშნულია ეპარქიული მთიულეთის ექსპედიციის მასალებში. მისივე ცნობით: „კვირა ღვთის მოკარვე ყოფილა“ [18].

სახარების თანახმად, მას შემდეგ რაც ქრისტე „ზეცად ამაღლდა“ კვირიამ მამა ღმერთთან „მოიკარაეა“ და მასთან დამკვიდრდა. მთიულეთ-გუდამაყარში არსებული რწმენით „კვირია პირველად შედის ზეთის კარზე და ხალხის სათხოვარს ღმერთს ისა სთხოვს“.

ღვთაებათა პანთეონში, საქართველოს მთიანეთში წმ.გიორგის მთავარი ღვთაების მთვარის ადგილი უკავია.

მთიულეთ-გუდამაყარელთა რელიგიურ წარმოდგენაში წმ.გიორგი...„თურმე თათარი ყოფილა ნაწილიანი. ამიტომ ის მაღალ მთაზე აუცვანიათ, იქ ურმის თვალზე დაუბამთ და ძირს დაუგორებიათ. წმ. გიორგი სამოცდასამ ნაწილად დაგლეჯილა და სხვადასხვა ადგილას დაცემულა, როგორც ცეცხლის ნაპერწყმები. ეს ნაპერწყმები შეუგროვებიათ და სამოცდასამი წმინდა გიორგის ხატი დაუწესებიათ“, ამიტომ ამბობდნენ - „კვირამას ნუ ეტანებო, თორემ ცეცხლი დაგწავსო“, „კვირიამ კერის ცეცხლის გადარეკვა იცის ოჯახს დაუქცევსო“.

ამიტომ მთიულთა შეხედულებით ღვთაებათა პანთეონში მეორე ადგილი კვირიას ეკავა. ეს თეონიმი კვირის სახელიდან მომდინარეობს „კვირა დღე რომ არის იმის სახელობისაა კვირია“ [19].

ბერძნულად ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვაა „კვიროსი“ და იგი ქართულშიც აქედან შემოსული ჩანს.

ხვეში კვირიას „კვირე“ ეწოდებოდა, თუშეთში „კვირაე“, ხევსურეთში „კვირეა“, და ა.შ.



ჩვენს საკვლევ რეგიონში მთიულეთ-გუდამაყარში მოწოდება „კვირაცხოველის“ თეონიმები (ს.ს. ქეთარანი, სვიანი, ნადიბანი, აენისკო, სონდა, მარმანიანი, ციხისძირი, სეთურები, ზაქანი, ლაუმა) და სხვა. გავრცელებული იყო აგრეთვე ფშავეში, ხევში, რაჭაში და სხვა.

„კვირაჯავრობა“ ცნობილია მთიულეთ-გუდამაყარში (ს. მაგუდა), კვირიას ჯორნი, (ს. ზენაუბანი), კვირაძალი (ს. ქიშბარიონი).

აგრეთვე ამ თეონიმს (კვირია) ემატება მთიულეთ-გუდამაყარში იმ ადგილის სახელები, სადაც ეს სალოცავია. მაგალითად, ქეჩაზის კვირია (სოფ. არაზეთი), ქეჩაზთ კვირაცხოველი (სოფ. ლოკათხევი) და მაღალთ კვირია (სოფ. წიფორი) და სხვა.

რაჭაში კვირიას სალოცავს პირდაპირ „საკვირაო“ ეწოდება (სოფ. სორი და შუებანი) და სხვ.

კვირა დღეს ძველ ქართულში მზისა ანუ საუფლო ეწოდებოდა.

გერმანულ ენაშიც კვირა მზის დღე ყოფილა - Der Sonntag, ორშაბათი კი მთვარის დღე - Der Montag.

საქართველოში მზის კულტი მარიამ ღვთისმშობელია.

კვირა სიმბოლურად ფაისფერით გამოიხატება და ღირსებას ნიშნავს.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, კვირას არა თუ საქმე არ უნდა ეკეთებინათ ამ დღეს, არამედ დაწვებული საქმეც არ უნდა გაეჭრებინათ საფეიქრო ხელსაწყო - იარაღებზე. „ნართი ანუ ქსელი, არც ჯარაზედ და არც ისე გაბმული არ უნდა გაუშო... კვირა დღეს თორემ ძაფიცა და მისგან მოქსოვილიცა... შეიქმნების დამაალი“ [20].

კვირას - „დედაკაცი რომ ართაედეს ნართსა, შეიმთხვევს რაისმე დიდსა უბედურებასა“. სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს იტყოდნენ: „ხარმა თქვა პირმა ნათელმა...ვინც კვირა უქმით შემაბას, ხელი შეახმეს მკლავზედა“ [21].

ორშაბათ დღეს მთვარისა ეწოდებოდა, მას ვითელი ფერი შეესაბამებოდა და რწმენას გამოხატავდა. ხვანეთში კვირა-ორშაბათს ერიდებოდნენ კაცის ტანსაცმლის გამოჭრას, რადგან ამ დღეებში დაჭრილმა ტანსაცმელმა სისხლის დახედება იცოდა.

ხვესურეთში საუქმო დღედ ორშაბათი ითვლებოდა დიდმარხვის პირველ და მეორე ორშაბათს და ათანგენობის პირველ და მეორე ორშაბათს ყველანი უქმობდნენ. ამ დღეებში ვისაც საშური საქმე ჰქონდათ, განსაკუთრებით დედაკაცები, სოფლის მიჯნაზე, წყლის გაღმა გადიოდნენ და იქ ხელსაქმობდნენ ამგვარ ქმედებებს ხვესურეთში „საუქმოზედ“ წასვლა ეწოდებოდა [22].



ოთხშაბათი მერკურის დღე იყო. მას ძველ ქართულში ერმისისა ეწოდებოდა. ამ დღეს წითელი ფერი შეესაბამებოდა და სიცოცხლისა და ხივეარულის მსახურს აღიქმებოდა.

ქალები ნაკიან დღეებშიც ვრიდებოდნენ ზელსაქმის დაწვებას ამბობდნენ, - „ოთხშაბათს გამოჭრილს ეშმაკი ეტანებათ და პარასკევისას ცეცხლი ებელებო“. ამიტომ „ეშმაკს უთქვამს, დიდ ოთხშაბათს დღესაო ნაკეთები არ ეცვა და ხელი ვერ დაერიეო“.

ფშაველის რწმენით ოთხშაბათს და პარასკევს დაწვებულ ზელსაქმს „შაცილე“ | „ბალიჯი“ | „ჩირჩილი“ აღარ ეტანებოდა.

მთიულეთ-გუდამაყარში ნართის შეწირეა „მლიღის“ (ჩირჩილი) უქმეში მოწმდება, რომელიც ყველიერის ოთხშაბათს ტარდებოდა. გუდამაყარში ამ უქმეს „კორკილას“ (ჩირჩილი) უქმე ეწოდებოდა. ეს უქმე ფშავეში ამავე სახელწოდებით ყოფილა ცნობილი.

სურსათ-სანოვაგის და მატერიალური ქსოვილების დაცვის მიზნით „თავე უქმის“ შენახვაც მოწმდება მთიულეთ - გუდამაყარში.

პარასკევი ვენერას დღე იყო და დიონისისა ეწოდებოდა, მას ლურჯი ფერი შეესაბამებოდა და მიზანს გამოხატავდა. ლეჩხუმში კაი პარასკევს ზელსაქმე-ქსოვია, კერვა და სხვ. არ შეიძლებოდა. ამბობდნენ უქმის დარღვევამ „თვალდაფსებული გოჭის მომრავლება იცისო“. მთიულეთ - გუდამაყარში, თუშეთში, ფშავეში, ერწო - თიანეთში პარასკევ დღეს მატყლს არ ჩეჩავდნენ, არ დაართავდნენ, იტყოდნენ - „ცხვარი დარეტიანდებო“ (სხვადასხვა გვარს სხვადასხვა დღეს უხდებოდა ცხვრის რეტის საწინააღმდეგო უქმის შენახვა). სენეთში პარასკევს კერვა აკრძალული იყო ამბობდნენ, „პარასკევს შვეურილი პატარა გამოდის და ეშმაკის არისო.“ რუსეთში პარასკეობით ზელსაქმის აღკვეთა დაკავშირებული იყო ღვთაება „ღედა პარასკევასთან“, რომელსაც თვალებში მტვერი არ უნდა შეკროდა ამ დღის საქმიანობით თორემ ძლიერ განრისხდებოდა და დასჯით იმუქრებოდა [23].

სამშაბათი და ხუთშაბათი ზელსაქმისათვის საუკეთესო დღეებად ითვლებოდა, კარგი და ხავსე დღეები იყო. მათ განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭებოდა ქსოვისა და ძაფის დართვის დროს. ეს დღეები მთიულეთ-გუდამაყარში მარიამობამდე ძალაში რჩებოდა, შემდეგ კი ხსნილი ხდებოდა. სამშაბათი მარსის დღე იყო. ძველად მას არიასი ეწოდებოდა. მას თეთრი ფერი შეესაბამებოდა და სიწმინდეს, სისპეტაკეს და პატივს გამოხატავდა.



ხუთშაბათი იუპიტერის დღე იყო, მას შავი ფერი ახასიათებდა და მოთმინების სიმბოლო იყო. და ბოლოს, კვირის დასასრულს შაბათი სატურნის რელიგიური კრონოსისა, მას მწვანე ფერი შეესატყვისებოდა და იმედს გამოხატავდა.

გვალბამე საინტერესო ცნობას გვაწვდის უქმის გამტეხის შესახებ (მიწათმოქმედებაში) არხოტში (პირაქეთ-ხევსურეთში), რომელიც თემის მიერ მოკეცილი ყოფილა, „ხოფელი უქმის გატეხვას არავის აპატიებდაო“. მისი აზრით - „თუ ვინმე შეერეოდა ამ უქმსა“, მაშინ მას ხატისათვის „უქმის“ სანათლავი უნდა დაეკლა. ხევსურეთში მას „დანათულა“ ეწოდებოდა. დანათულა თიქნის დაკვლით ხდებოდა (შეიძლებოდა ცხვრის დაკვლაც), რომელიც ხუცესს უნდა შეესრულებინა.

საუქმო დღეების სამუშაოდ გამოყენებისას ფშავეში „შაბათის მონათულა“ იცოდნენ [24] და ა.შ.

ამრიგად საუქმო დღეების მკაცრად შენახვა საქონლის გამრავლებასა და ოჯახის ბედნიერებას და ბარაკქანობას უმსახურებოდა, რაც შრომის გვერდობითი განაწილების მეთოდს წარმოადგენდა.



1. ეპარდაველიძე. „ქართული ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეპცია)“, ჟურ. „მომომხილველი“, 1949, № 1, გვ. 126.
2. В.А.Дуев - "История Древнего Востока", Москва, 1953, с.99.
3. გ.ჩაჩაშვილი. „ოჯახური საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი უძველესი რწმენა - წარმოდგენების შესახებ საქართველოში“. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, თბ. 1972, გვ. 122.
4. ძე.ქართული ლიტ.ქრესტომათია, ს.ყუბანიშვილის შედგენილი 1948 წ. „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, გვ. 97, 318.
5. ლ.კაიშაური. „მთიულური ტექსტები“. თბ. 1978, გვ.68.
6. С.Лисицян. "Очерки этнографии дореволюционной Армении", "Кавказский этнографический сборник", 1.Москва, 1955, с.191.
7. Н.Зинбер. "Очерки первобытной экономической культуры", с.431, 442, 445.
8. ი.ცურტაველი. „შუშანიკის მარტილობა“.
9. ნაზიკური. „ქართული ფარდაგი“ - ხელნაწერი.



10. ი.კვიციანი. „ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში“. თბ. 1955, გვ.176.
11. ე.მაჭავარიანი. „ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკ.საქ.მუზეუმი „მოამბე“, ტ. XIX-A და XXI-B, თბ. 1957.
12. ა.სოხაძე. „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან რაკული ბოსლობა“, სადისერტაციო შრომა, 1953 წ. ხელნაწერი.
13. ჯ.რუხაძე. „ქართული ხალხური დღესასწაული“, „ძველის მემორარი“ № 2.1990, გვ.35.
14. ფ.გარდაფხაძე. „ლენხუმური ხალხური დღევები“, თბ. 1937, გვ.36.
15. Д.Фрезер. "Золотая ветвь", I. 1928, в. 46.
16. В.Бардавелидзе. "Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен", Тб.1957.
17. ი.ბატონიშვილი. „კალმასობა“ ტ.1, კ.კეკელიძის და ალ.ბარამიძის რედაქციით, ტფილისი, 1936, გვ.259.
18. ვ.ბარდაველიძე. „მთიულეთის ექსპედიციის მასალები“, 1945, რე. III, გვ.73. დაკულია ივ.ჯავახიშვილის სახ.ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ განვ.არქივში.
19. ა.ლუციშვილი. „ალ.საქართველოს მთიანეთის თონიმოიდან ღვთაება კვირიას სახელები და ეპითეტები“.
20. ი.ბატონიშვილი. იქვე, გვ. 258.
21. ა.გელოვანი. „მითოლოგიის ლექსიკონი“, თბ. 1983 წ.
22. გ.ჩიტაია. „ეთნოგრაფიული მოგზაურობა ალბულაღის რ-ში“. საქართველოს მუზეუმი „მოამბე“, IV, ტფ. 1928, გვ. 230.
23. А.Афанасьев. "Народные русские легенды". М. 1859. в. 47.
24. М.Ковалевский. "Пшави" этнографический очерк. жур. "Юридический вестник", 1888, т. XXVIII, с.209.

თბილისი, შავთელის 5/7

ტელ. 98 36 31

ფაქსი 98 96 58

საერთაშორისო
ბიზნესი



ასლბადამლები აპარატურა
პრინტერები
ფაქსები
კომპიუტერები
საოფისო ავეჯი
ლიზინგი

XEROX & HEWLETT PACKARD

ოფიციალური წარმომადგენელი